პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
საქარ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 (მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 სტამ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100.000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 50[illegible]
ქართ. ბონებით ყველგან.

№ 227 ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი 1922 წ. № 227

საქართველოს კომპარტიის ხელახალ რეგისტრაციაში გამტარებელი, შემმოწმებელი და გამწმენდი

კომისია

აცხადებს, რომ გაწმენდა დაიწყება ამა წლის 5 ოქტომბერს

ყველა სარაიონო და სამაზრო კომისიებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ შეუდგენ გაწმენდის გატარებას აღნიშნული რიცხვიდან.

პარტიის გაწმენდის ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარე: **გორომჩენკო.**

წევრები: **ს. თოდრია.**
გ. სტურუა.
2—1. მდივანი: **პავლენკო.**

პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ

ცხადდება ყველა პარტიულ ორგანიზაციების და საქართველოს კომპარტიის წევრთა საყურადღებოთ, რომ 1 ოქტომბრიდან შეწყვეტილია გაზეთების გზავნა საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის ხარჯზე, გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად როგორც თბილისში ისე პროვინციაში წინადადება ეძლევათ ყველა

პარტიულ ორგანიზაციებს იზრუნონ თავის დროზე

გაზეთების ხელის მოწერისათვის.

გაზეთები გაეგზავნებათ

მხოლოდ და მხოლოდ ნაღდ ფულზე,

გაზეთების ტრესტის მთავარ კანტორის მიერ ხელმოსაწერის ფასის მიღების შემდეგ. (მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 24).

განცხადება გაზეთების

ნისიად გაგზავნის შესახებ

[illegible] იქნება უყურადღებოდ,

ვინაიდან [illegible] ლიც შესაძლებელი [illegible] რვა.

[illegible] გამოგზავნილი [illegible]

[illegible] ქალაქ გარედ 20

[illegible] კავკასიის რესპუბლიკებში 1922 წლის ფულის ნიშნებით

			1 თვით	ოქტ.-დან წლის ბოლომდე
[illegible]	[illegible]	300.000 მ.	250 მ.	750 მ.
[illegible]	[illegible]0.000 მ.	300.000 მ.	250 მ.	750 მ.
[illegible]	100.000 მ.	300.000 მ.	250 მ.	750 მ.
[illegible]	40.000 მ.	120.000 მ.	100 მ.	300 მ.
„იენი ფიქრი“ (ახალი ფიქრი)	40.000 მ.	120.000 მ.	100 მ.	300 მ.

ცალკე ნომერი ყველა გაზეთებისა ღირს 5.000 მან.

გამოცხადებულ ფასებზე ზევით გაყიდვაში შემჩნეული პირები დაისჯებიან კანონის ძალით. 3—2

ესერების პროვოკაცია და კომინტერნი

რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან დასავლეთის კონტრ-რევოლიუციონურ ქვეყნებისაკენ განდევნილი რუსი ესერები თავისას არ იშლიან და განაგრძობენ საშინელ მოშხამულ აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ. მათ ცილისწამებასა და ინსინუაციებს მშრომელთა ხელისუფლებაზე საზღვარი არ აქვს და ბერლინიდან ლამობენ ჩვენს დამარცხებას.

როგორც იცით, რამდენიმე თვის უკან წითელ მოსკოვში დასრულდა ესერების პარტიის გასამართლება, რასაც შედეგათ მოყვა ამ პარტიის სრული დაშლა რუსეთში და მისი ბევრი ძველი წევრის კომუნისტურ პარტიისაკენ გადასვლა. ასე რომ მათი, ეგრედ წოდებული, საზღვარ-გარეთელი დელეგაცია ჰაერში გამოკიდებული დარჩა და არ იცოდა რა ექნა, რა ჩირქი მოეცხო ჩვენთვის.

ბოლოს, როგორც იქნა მათ ახლო მეგობრებთან ერთად. მეორე და 2 ნახ. ინტერნაციონალიდან, დიდი ხნის თათბირის შემდეგ, გადასწყვიტეს საშინელი ბინძური ცილი დაეწამებიათ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სახელდობრ, მოსკოვის ციხეში მოთავსებულ ტუსაღ ესერების მკვლელობა.

როგორც ვთქვით მოსკოვში ადგილი ქონდა ესერების გასამართლებას რევოლიუციონურ ტრიბუნალის მიერ, რომელმაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯა სახელმწიფო ღალატში ბრალდებულ ესერებს. მაგრამ რევოლიუციონურ ტრიბუნალის ეს განაჩენი არ იქნა მოყვანილი სისრულეში და ისინი სიკვდილის დასჯის მაგივრათ ჩასმულ იქნენ ციხეში.

ეს არ მოეწონათ საზღვარ-გარედ დარჩენილ ესერებსა და მათ მოკავშირებს, გერმანიის მუშების გამცემელ „სოციალ“-დემოკრატებს (ალბათ სიკვდილით რომ არ დასაჯეს) და ხელი მიყვეს ჯერარ გაგონილ ისეთ ცილისწამებას საბჭოთა ხელისუფლებაზე, რომელიც ჯერ კიდევ ბურჟუაზიასაც ვერ გამოეგონა. მათ დასწამეს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას ისეთი პირობებისა და ატმოსფერის შექმნა ტუსაღ ესერებისათვის, რომ ერთ მათგანს, სახელდობრ, ტიმოფეევს, ვითომდა თავი მოეკლას მოსკოვის ციხეში. რუსეთის მშრომელმა ხალხმა მშვენივრათ იცის, რომ ეს გამყიდველ ესერების მორიგი ჩმახვაა, იმ ესერების, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში საზღვარგარეთ მხოლოდ ტყუილებითა და სიცრუით ცხოვრობენ.

მაგრამ ეს შეიძლება ვერ გაიგოს დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით გერმანიის მშრომელთა მასებმა, მით უმეტეს, რომ ყურები გამოჭედილი აქვთ ესერების და სოციალ-დემოკრატების ინსინუაციებით საბჭოთა ხელისუფლებაზე.

ამიტომ როგორც კი მიმართა ესერების საზღვარგარეთელმა დელეგაციამ კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომს განცხადებით ტუსაღ ესერ ტიმოფეევის ცრუ თვით მკვლელობის შესახებ (მათ მიმართეს განსაზღვრულ მიზნით, რათა დემონსტრაცია მოეხდინათ გერმანიისა და საზოგადოთ დასავლეთის მუშათა კლასის წინაშე), კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. ზინოვიევმა მიმართა გერმანიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ღია წერილით, რომელიც იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთში, სადაც ის აცნობებს მას, რომ წინადადება მისცეს გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიას საჯაროთ, გასცვალონ ამხ. მაქს ჰელცი, რომელიც იტანჯება გერმანიის ბურჟუაზიისა და სოციალ-გამცემლების ციხეში, ესერ ტიმოფეევზე, რომელმაც მათი სიტყვებით, ვითომდა თავი მოიკლა მოსკოვის ციხეში.

ეს წინადადება კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პრეზიდიუმისა ღირსშესანიშნავი და დიდ მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი: როგორც ამ მიმართვიდან სჩანს ტუსაღი ესერი ტიმოფეევი მკვდარი კი არაა, როგორც ამას გაჰკიოდენ ესერები და მენშევიკები, არამედ სრულიად ჯანმრთელია და კომინტერნი პირიქით კიდევაც პირდება მის განთავისუფლებას და საზღვარ-გარეთელ ესერებისა და მენშევიკებისათვის ჩაბარებას, თუ რასაკვირველია ეს უკანასკნელები გაანთავისუფლებენ და მისცემენ კომინტერნს გერმანიის გამოჩენილ კომუნისტს, ამხ. მაქს ჰელცს, რომელიც ამ ჟამათ ლპება და სულს ღაფავს გერმანიის ციხის ცივ ნესტიან საკანში.

მეორეთ, ეს, რომ გერმანიის „სოციალ“-დემოკრატები მეორე და ორ ნახევარ ინტერნაციონალიდან მშვენივრათ ხედავენ მოსკოვში, თუ როგორ „საშინელ“ პირობებში იმყოფებიან „პოლიტიკური“ ტუსაღები, ხოლო თავის სახლში კი, ბერლინში, თუ როგორ იტანჯებიან საერთაშორისო მუშათა კლასის თავდადებული ძველი რევოლიუციონერები, ამაზე კრინტს არ ძრავენ.

ამიტომ ეს წინადადება კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სავსებით გამოაჟღავნებს მათ წმინდა გულის ნადებს და დაანახვებს ყველას აშკარათ, თუ რა ზრახვები ამოძრავებს მათ. აქ მათ უკვე აღარ შეუძლიანთ თქვან და მოიმიზეზონ ის გარემოება, რომ გერმანიის მთავრობა მთლიანათ არ შესდგება „სოციალ“-დემოკრატებისაგან, ვინაიდან შეიდემანელები და „დამოუკიდებლები“ წარმოადგენენ საკმარის ძალას, რათა გავლენა მოახდინონ გერმანიის კოალიციონურ მთავრობაზე. მით უმეტეს, როდესაც ორივე ეს გამცემელი პარტიები სავსებით ერთდება მთლიან, გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ერთი სიტყვით გერმანიის სოციალ-დემოკრატიას შეუძლია გასცვალოს რევოლიუციონერი მაქს ჰელცი კონტრ-რევოლიუციონურ და გამყიდველ ესერ ტიმოფეევზე. მაგრამ დასთანხმდება კი ის ამაზე?.

რევოლიუციონური უფლებრივი შემეცნება.

„ყოველგვარი უბედურება წარმოსდგება „togados“-გან (იურისტებისაგან)“.

ფილიპე მე-V დროის თქმულება.

(გაგრძელება იხ. გაზ. „კომუნისტის“ № 226)

ვეცნობით რა ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურას, ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ სამართლის მეცნიერება ერთი ნაბიჯით არ წაწეულა წინ და მისი მდგომარეობა უფრო უიმედოა, ვიდრე როდისმე.

იურიდიული „ტვირთი ახლაც იქვე იმყოფება“. დღეს უფრო დაცინვით მოგვესმის ფილოსოფოს კანტის ირონიული სიტყვები: „იურისტები კიდევ ეძებენ განმარტებას სამართლის ცნებისა“. და მართლაც, სამართლის მეცნიერული განმტკიცება ჯერჯერობით ვერ შესძლეს იურისტებმა. სხვა და სხვა მეცნიერ იურისტთა სკოლები ედავებიან ერთმანეთს სამართლის ცნების განმარტებაში. მაგრამ, ამ თეორიულად უსაფუძვლო და უშინაარსო ფორმულებში იმალება სურვილი და გრძნობები ბურჟუაზიისა, ვინაიდან მისი სამართალი, როგორც წესრიგის სინონიმი, იცავს იმავე ბურჟუაზიის ინტერესებს.

იურისპრუდენციას — ბურჟუაზიულ წესრიგის გარეშე, საერთოდ არავითარი წესრიგი არ აქვს წარმოდგენილი, და „არსებულის“ დანგრევაში ხედავს სამართლის მუდმივი ჰარმონიის დარღვევას. ჩვენ, გაკვრით მიუთითეთ სამართლის მეცნიერებაში მთელი სფეროს არსებობაზე, რომლის ობიექტიური შესწავლა გვარწმუნებს ჩვენ ისტორიულ მოვლენათა მატერიალურ ხასიათში. ჩვენ მაშინათვე ხაზი გაუსვით ბურჟუაზიის იურიდიულ მსოფლმხედველობის მოსპობას მისივე მეთოდებით და მისივე სამართლის მეცნიერების შედეგებით.

არის საქართველოში ძალიან გავრცელებული ხალხური ანდაზა, რომლის აზრი შემდეგია: ციხე შიგნიდან გატყდებაო. თუ კი ჩვენ გვერდს აუხვევთ სამართლის ახალი თეორიის შექმნას და შევიჭრებით რა ბურჟუაზიულ საზოგადოების იდუმალ აზრებში, ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ ტყდება შიგნიდან მკვდარი ნორმის ადამიანზე ბატონობის ციხე, სადაც ადამიანი არსებობს სამართლისათვის და არა სამართალი ადამიანისთვის.

ჩვენ შევეცდებით, განვმარტოთ სამართალი „საბჭოთა“ თვალსაზრისით და დავამტკიცოთ ასეთი განმარტების მეცნიერული ხასიათი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ სისხლის სამართლის კოდექსის ხელმძღვანელ პრინციპების გამომუშავების დროს შეჩერდა სამართლის განმარტების შემდეგ ფორმულაზე: „სამართალი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც გაბატონებულ კლასის ინტერესებს ეთანხმება და რომელიც დაცულია მისივე (ამ კლასის) ორგანიზაციული ძალით“. თუ კი ჩვენ წარმოვიდგენთ კლასიურ წინააღმდეგობათა თანდათანობით განვითარებას და კლასთა ბრძოლის ხასიათს პირველ ყოფილ კომუნიზმის გაუქმების შემდეგ და საზოგადოების კერძო საკუთრების სტადიაში გადასვლას ვიდრე სოციალურ რევოლიუციის ეპოქამდე, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ამა თუ იმ კლასის ბატონობის ეპოქას ახასიათებენ თავისი განსაკუთრებული სპეციფიური მოვლენები, რომელნიც ითვლებიან და ვითარდებიან თავის განსაკუთრებული კანონებით, და ამ მოვლენათა შეერთებულება ქმნის იმას, რასაც საზოგადოებრივი ურთიერთობა ეწოდება (მონობა, ბატონყმობა), რომელიც თვის მხრივ, გაბატონებულ კლასის (ფეოდალი, მემამულე, კაპიტალისტი) ინტერესებს ეფარებიან და დაცულია ძალდატანების ძალით (სახელმწიფოთ) ყველგან, სადაც ამა თუ იმ ფორმით არსებობს საზოგადოების კლასებად დაყოფა და ერთი კლასის მეორეზე გაბატონება, ჩვენ ვხედავთ უფლების სხვა ან რამეს—სამართლის მზგავსს, როგორც ცვალებად, მიმდინარე, ინტერესებს დაქვემდებარებულ მოვლენას. პროლეტარიატის მიერ მიცემული სამართლის განმარტება, პირველად —აყენებს საკითხს სამართლის შესახებ მაგარ, მეცნიერულ საფუძველზე, და, რასაკვირველია, ამ ნიადაგზე ვერ დადგება ოფიციალური იურისპრუდენცია. [illegible] ტანით რა რევოლიუციონური (კლასიური) თვალსაზრისს, მან უნდა ოფიციალურ იურისპრუდენციამ გაამართლოს პროლეტარული რევოლიუცია და კანონიერ მოვლენად უნდა დასახოს.

„სამართალი თავისი შინაგანი აზრით შეუძლებელია, იგი აწესრიგებს ადამიანთა საერთო ცხოვრებას“, გვასწავლის გერმანელი პროფესორი და იუსტიციის „ტაინი სოვეტნიკი“ შტამლერი,—თანამედროვე „იურიდიულ“ სკოლის მეთაური და სხვებთან მსხვილი იურიდიულ ჟურნალის გამომცემელი. ეს ის შტამლერია, რომელიც ბურჟუაზიასთან კარგ განწყობილებაშია, და როდესაც ბურჟუაზიულ მეცნიერებას სურს ვინმეზე გამოსთქვას კარგი აზრი: „ის უახლოვდება შტამლერს“.

როდესაც 1918 წლის 9 ნოემბერს დეპუტატი ებერტი მივიდა კანცლერ ფ. პაიერთან და მოსთხოვა გადაეცა მისთვის, როგორც რევოლიუციონურ მთავრობის მეთაურისათვის, ძალაუფლება, პაიერი შეეკითხა მას: მოითხოვს თუ არა ებერტი ძალაუფლების მისთვის გადაცემას კონსტიტუციის საფუძვლით, თუ ბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით. ებერტმა უპასუხა: „საიმპერიო კანონების ჩარჩებში“-ო. ამის შემდეგ ვილჰელმის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა გადასცეს ძალაუფლება ებერტს იმ პირობით, რომ ის მიიღებდა **კანონიერ დადასტურებას.** შემდეგ ისტორია მოგვითხრობს, რომ ებერტი შეიდემანთან და ფ. პაიერთან ერთად წავიდა სასაუზმოდ **მტკიცედ დაცული სტილი—შტამმლერის სამართლის შეურყევლობის მზგავსი.**

1920 წ. როდესაც კაპპი თავზე წამოადგა სახელმწიფო კანცლერის მოადგილეს შიფერს და მოითხოვა. ძალა-უფლების გადაცემა, დაშინებული შიფფერი ეყრდნობოდა რა თავის უფლებრივ მდგომარეობას ცდილობდა გადაერჩინა თავი პირდაპირი პასუხის გაცემისაგან. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტი ფონ იაგოვი, რომელიც ამ საუბრის მოწმე იყო, იქვე შეეკითხა შიფერს: „რომელ სამართალზე ლაპარაკობთ თქვენ 1918 წ. 9 ნოემბრის შემდეგ“. ფ. იაგოვის პირით ლაპარაკობდა ჭეშმარიტება, დაშორებული შტამმლერის „ჭეშმარიტებას“.

ფ. იაგოვმა უხეშად, მაგრამ ჭეშმარიტად ისტორიულ მოვლენათა **იუსტიფიკაციის** გარეშე ხაზი გაუსვა იერინგის სიტყვების ღრმა აზრს, რომელიც სთქვა იერინგმა სამართლის სასამართლოს მიერ განმარტების შესახებ და რომელიც შემდეგში გამოხატება: „თვით ლოღიკა ინტერესს ემორჩილება“.

ი. ცინცაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მე-2 სესია

სესიის მეორე სხდომამ გუშინ, რომელიც, დელეგატების დიდი დაგვიანების გამო, მხოლოდ 11 ს. 45 წ. გახსნა ც. აღმასკომის მდივანმა, ამხ. თ. კალანდაძემ, მოისმინა თავიდანვე მოხსენება ამხ. ფილიპე მახარაძის, აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ საანგარიშო დროის განმავლობაში. ვინაიდან სრული ანგარიში ამ მოღვაწეობაზე, ამხ. ფილიპეს დაპირებით, წარედგინება დაბეჭდილი მომავალ მორიგ ყრილობას საბჭოებისას, მან განსაზღვრა თავისი მოხსენება აუცილებელი ინფორმაციის გაკეთებით, რომელიც საკმაოთ ვრცელი იყო თავისთავად და შეეხო ყველა თვალსაჩინო ეპიზოდებს პრეზიდიუმის მუშაობიდან, გადასინჯვა-შემცირება სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების, მიწის მოწყობის დებულება, ნატურ გადასახადი, სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქის მოწყობა, გამოცემული დეკრეტების გადასინჯვა-შემოწმება (გაუქმება ზოგის, შესწორება სხვების და სხვა) სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზია, საეკლესიო განძეულებათა გამორკვევა, იურიდიული კითხვები (სისხლის სამართლის კოდექსი, პროკურატურა, ადვოკატურა) და სხვა. გარდა ამისა ფართო და აქტიური ჩარევა სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მუშაობის წარსამართავათ (არხები, გზების შეკეთება, არხების გაყვანა, ხიდები და სხ.) და საერთოთ სოფლის ჭირ-ვარამის გამორკვევა—აი ის ფართო სარბიელი და მრავალმხრივი სფერო სახელმწიფოებრივი ცხოვრების, რომლებშიაც მიმდინარეობდა პრეზიდიუმის მუშაობა. ამხ. ფილიპე შეეხო დაბოლოს ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობას.

კრებამ გადასწყვიტა კამათი არ გაეხსნა მოხსენების შესახებ და გამოიტანა მხოლოთ მორიგ კითხვებზე გადასვლის ჩვეულებრივი ფორმულა, სადაც სესია სცნობს პრეზიდიუმის მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლათ.

კრება გადადის დღის წესრიგის მორიგ კითხვებზე, მაგრამ, რადგან სათანადო კომისიებმა ჯერ ვერ მოასწრეს პრეზიდიუმის მოხსენების შემდეგ დასმული სამი კითხვის გარჩევა, კრება შეუდგა მიწის საკითხის გარჩევას, რომლის შესახებ, მოხსენება გააკეთა კომისიის სახელით მიწათმოქმედების კომისარმა, ამხ. ს. თოდრიამ. საკითხი შეეხება პირველი სესიის მიერ მიღებულ მიწათმოქმედების დებულებაში რამოდენიმე შესწორების შეტანას, რაც აუცილებელი აღმოჩნდა იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა ადგილობრივ, პრაქტიკაზე.

რომელი ორგანოები სწყვეტენ მიწის საკითხს, ვის უნდა და რამდენი დავუტოვოთ მიწა, მიწის გაყიდვის, გადაცემის და იჯარით გაცემის აღკრძალვის დარღვევასთან შეკავშირებული გარემოებანი და სხვ.—აი გასარჩევი კითხვები.

მეორე სხდომის მეორე ნაწილი მოუნდა საკითხის გარჩევას. კამათი გრძელდება.

სესიის მეტის მეტათ გაგრძელების თავიდან ასაცილებლათ, სასურველია დელეგატებმა სასტიკათ დაიცვან რეგლამენტი და იკრიბებოდენ პუნქტუალურათ დანიშნულ დროზე, ათ საათზე.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ოსმალების მოქმედება.

რომი. 2 ოქტ. ოსმალეთის ნაწილები იკავებენ ლანსავს.

კროიდონი. 2 ოქტომბ. ბერძნების ცნობების თანახმად, ოსმალები შევიდნენ ნეიტრალურ ზონაში ფრაკიაში ისტრაჯის რაიონში.

ამერიკა და ახლო აღმოსავლეთი.

ნაუენი. 3 ოქტ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ „თეთრმა სახლმა“ გამოუშვა ნოტა, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ ამერიკა არ გაგზავნის სამხედრო გემებს მარმარილოს ზღვაში, რათა არ შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ მას სურს მონაწილეობის მიღება ახლო აღმოსავლეთის საქმეებში.

სტამბოლი.

კროიდონი. 3 ოქტომბერი. სტამბოლის უმაღლესმა კომისრებმა გადაწყვიტეს [illegible] ტერიტორიაზე წეს-რიგის დასაცავად და აგრეთვე ოსმალოების განცხადების გამოსაძიებლად ბერძნების მიერ ჩადენილ მხეცობის შესახებ. ინგლისის ოფიცრებისაგან შემდგარი კომისია გაემგზავრა როდოსტოში. იტალიის კომისია გაემგზავრა ლიულე ბურგასში და საფრანგეთის კომისია-ადრიანოპოლში.

მუდანიის თათბირის გამო.

კროიდონი. 3 ოქტომბერი. იმედს გამოსთქვამენ, რომ შეთანხმება საზღვრების დაწესების შესახებ იქნება მიღწეული. მუდანიის კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საბერძნეთის გენერალი.

იტყობინებიან, რომ მუდანიის კონფერენცია დააწესებს ხაზს საბერძნეთის ჯარების აღმოსავლეთ ფრაკიაში გადასაყვანად, ხოლო ანგორის მთავრობა მისცემს ვალდებულებას არ შეიყვანოს თავისი ჯარები ნეიტრალურ ზონაში და გადაასხას ისინი სრუტეებით მარმარილოს ზღვაში.

კროიდონი. 3 ოქტომბერი. „ნიუ-იორკ გერალდის“ დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ მუდანიის კონფერენციის გადაწყვეტილების მოლოდინში ინგლისის მთავრობამ გადაჭრით განაცხადა, რომ ის არ შეურიგდება არავითარ დათმობას იმ პირობებზე, რომელიც გამოთქმულია მოკავშირეების კოლექტიურ ნოტაში 23 სექტემბრის თარიღით, რომლის ორი მთავარ პუნქტის მიხედვით საერთო-საზავო შეთანხმება ახლო აღმოსავლეთში შეიძლება მიღწეულ იქნეს ოსმალეთის და ჯარების ნეიტრალურ ზონაში და სრუტეებში წინსვლის შეჩერებით და მათი გადაზიდვით სრუტეების საშუალებით.

დახმარება ლტოლვილებს.

კროიდონი 3 ოქტ. რუსეთის დამშეულთა დამხმარე ინგლისური საზოგადოება, ამ ჟამად დახმარებას უწევს სმირნის ლტოლვილებს საზოგადოება ზომებს ღებულობს ათინიდან [illegible]

ლოიდ ჯორჯის განცხადება

რომი. 3 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობებით, ლოიდ ჯორჯმა ინგლისის კაბინეტის სხდომაზე

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის ბაზრის კონიუნქტურა აგვისტოში

პრუსიის სავაჭრო პალატების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები ახასიათებენ გერმანიის მრეწველობის მდგომარეობას აგვისტოში. ანგარიშები აღნიშნავენ, რომ მარკის სწრაფმა დაცემამ გამოიწვია კონიუნქტურის სრული დაუდგრომლობა უმთავრესი, რაზედაც მიუთითებენ ანგარიშები, ეს ყიდვის უნარიანობის შემცირებაა გერმანიის ბაზარზე.

რაც შეეხება მრეწველობის ცალკე დარგებს, ანგარიშები აღნიშნავენ უწინარეს ყოვლისა მაგარი სათბობის დამუშავების გაუმჯობესობას. ეს გაუმჯობესობა შედეგია, ერთი მხრით, მუშათა ძალის მოზღვავების გაძლიერების, მეორე მხრით, ზედმეტი მუშაობის შემოღების. დაახლოვებითი გამონაგარიშებით ზედმეტი სამუშაო გააძლიერებს ნახშირის თვიურ დამუშავებას 1 ნახ. მილ. ტონამდე. უკანასკნელ თვეებში ნახშირის მწვავე ნაკლულევანებამ გერმანიაში გააძლიერა გერმანიის მოთხოვნილება საზღვარ გარეთულ ნახშირზე. ნახშირის თვიური იმპორტი ინგლისიდან ავიდა უკანასკნელ თვეებში 1 ნახ. მილ. ტონამდე.

ქიმიურ მრეწველობაში არის კრიზისის ყველა ნიშნები. ადგილობრივმა ბაზრებმა, დროიანათ შეყიდვის გამო (უკანასკნელ სიძვირემდე), ძალიან შეამცირეს მოთხოვნილება. რკინეულობის წარმოებასა და მის განაწილებას შეხვდა ბევრი სერიოზული დაბრკოლებები: მთავარი დაბრკოლება მდგომარეობა ფასების ზრდაში რკინაზე და ლითონის ნაწარმოებზე, რომელმაც შეამცირა რა მოთხოვნილება რკინაზე იმავე დროს შეამცირა მოთხოვნილებაც რკინის ნედლეულზე. საზღვარ გარეთიდან რკინის ნედლი მასალების შემოტანა გაძნელებულია მაღალი ფასებით გერმანიის მარკის ყიდვის უნარიანობის დაცემის გამო. ფასების აწევამ ლითონზე გერმანიაში ერთ თვეში აგვისტოში 100 პროც. უფრო მეტი გავლენა მოახდინა დანაკვეთებზე საზღვარ გარეთიდან, რომლებიც საგრძნობლათ შემცირდენ. რკინის მსხვილი და წვრილი ინდუსტრიის დაინტერესებული წრეები ცდილობენ შეაჩერებინონ მთავრობას ლითონის საქონელზე გასაზიდი მაღალი ბაჟების შემოღება.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“ 9 სექტემბრიდან შემდეგნაირათ ახასიათებს გერმანიის კონიუნქტურას: „კონიუნქტურის ცვლილების ნიშნები გერმანიის მეურნეობაში უკანასკნელ ხანებში გამოიხატა კიდევ უფრო ნათლათ—მუშაობის ფართოდ გაშლისა და საქმიანური მოქმედების მაგიერათ დაიწყო გამოფხიზლება. მოჩვენებითი კონიუნქტურის ტყვილ ბაზაზე, მიუხედავათ თავის დროზე გაფრთხილებისა, საქმიანურ მოქმედებაში განვითარდა გრანდიოზული ექსპანსია. ეს იყო ცდა მარკის სწრაფი დაცემის პირობებში ზომაზე მეტი ტრიალის, წარმოების გაზრდის საშუალებით გერმანიის სახალხო მეურნეობის დამაკავშირებელ სუბსტანციის შენარჩუნებისა“.

წერილი გერმანიის კომ-პარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი

ამხანაგებო! ესერების საზღვარ გარეთელმა დელეგაციამ მიმართა კომინტერნის აღმასკომს ესერების პროცესზე გასამართლებულ მოქ. ტიმოფეევის შეთხზული თვითმკვლელობის გამო. თქვენ უკვე იცით, რომ ტიმოფეევის თვითმკვლელობის ან თავის მოკვლის განზრახვის ვერსია არის იმ ვაჟბატონების მორიგი ჭორი, რომელნიც უკვე რამდენიმე წელიწადია ტყუილებით სცხოვრობენ.

ამავე დროს ჩვენამდე მოაღწია აბსოლიუტურად შემოწმებულმა ხმებმა. იმ მართლაც და საშინელ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იმყოფება გერმანიის ციხეში დაპატიმრებული ჩვენი ამხანაგი მაქს ჰელცი.

რათა დავიცვათ სიკვდილიდან პროლეტარული რევოლიუციის პატიოსანი მებრძოლი ამხ. მაქს ჰელცი, რომელიც უნდათ აწამონ გერმანიის ბურჟუაზიულ მენშევიკურ ციხეში, კომინტერნის პრეზიდიუმი გაძლევთ თქვენ რწმუნებას: **მიეცით გერმანიის სოციალ დემოკრატიულ პარტიას საჯარო წინადადება — გასცვალონ ამხ. მაქს ჰელცი მოქ. ტიმოფეევზე.**

„გაერთიანებულ“ გერმანიის სოციალ დემოკრატიას, 2 და 2-ნახევარ ინტერნაციონალებს, აქვთ რა თქმა უნდა, საკმაო გავლენა გერმანიის კოალიციონურ მთავრობაში, და კიდეც შესძლებენ ამ საქმის მოგვარებას. ჩვენ ჩვენის მხრით დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმა იქნება ამ წინადადებისა.

ზინოვიევი.

განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს დაჟინებით მოითხოვოს ნეიტრალური ზონის დაცლა და ამისათვის ინსტრუქცია გაეგზავნა გენ. მარინგტონს, რომელმაც უნდა აცნობოს ქემალ ფაშას, რომ ნეიტრალური ზონის ევაკუაცია წარმოადგენს ძირითად პირობას შემდეგ მოლაპარაკებისათვის.

გენ. გარინგტონის ნოტა.

რომი. 3 ოქტომბ. „დეილი მეილი" იტყობინება სტამბოლიდან, რომ გენერალ გარინგტონმა მიმართა ქემალ ფაშას ნოტით, რომელშიდაც გადაჭრით აღნიშნავს, რომ ოსმალეთის ჯარები გაყვანილი უნდა იქნეს ნეიტრალური ზონიდან, აცნობებს რა ამით, რომ მუდანიის თათბირს ექნება მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, როცა ეს პირობა იქნება შესრულებული.

ინგლისის ჯარები და დარდანელი

მოსკოვი 3 ოქტომბერი ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც მოითხოვს დარდანელიდან ინგლისის ჯარების გაყვანას.

აფრიკა

მოსკოვი. 3 ოქტომბერი პუანკარემ მიიღო ინგლისისა და იტალიის ელჩები და აცნობა მათ საფრანგეთის დელეგატის დეპეშა, რომელიც ატყობინებს, რომ ოსმალეთი თანახმაა მოკავშირე ჯარების მიერ ფრაკიის დროებითი ოკუპაციისა და აგრეთვე მზად არიან მოიწვიონ 3 ოქტომბრისათვის თათბირი მოკავშირე სახელმწიფოებთან. ქემალმა გასცა ბრძანება ამის გამო შეჩერებულ იქნას ოსმალეთის ჯარების წინსვლა. საფრანგეთმა და იტალიამ მიიღეს ქემალის წინადადება.

ბრიტანეთის ძალები

მოსკოვი. 1 ოქ. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად ახლო აღმოსავლეთში გაიგზავნა ინგლისის ახალი ძალები. ბრიტანეთის ხმელეთის ძალები 30 ათას კაცს აღემატება.

საბერძნეთში

ბორდო. 3 ოქტ. კანკლომანსო დანიშნულია წარმომადგენლად ლონდონში, რომანსო—პარიზში პოლიტისმა და დიომიდისმა, გაიგეს რა, რომ კაბინეტს არ ექნება განსაზღვრული პოლიტიკური ელფერი, უარი განაცხადეს გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრების პორტფელის მიღებაზე.

ბორდო. 3 ოქტ. გუნარისი და სხვა დაპატიმრებული პირები ამ დღეებში გადასახლებულნი იქნებიან ერთ-ერთ კუნძულზე, რომელსაც ისინი ამოირჩევენ.

ბორდო. 3 ოქტ. გაზ. „პტი-პარიზიენი" იტყობინება, რომ საბერძნეთის ახალმა წარმომადგენელმა საფრანგეთში, [illegible] განაცხადა, რომ საბერძნეთში მომხდარი რევოლუცია არის გამომხატველი საბერძნეთის ხალხის განმანთავისუფლებელი მოძრაობისა. საბერძნეთის ხალხმა [illegible] შეიტყო 3 წლიწადში ჩადენილი შეცდომები და იგი დარწმუნებულია, რომ მოკავშირეები არ მიატოვებენ საბერძნეთს ბედის ანაბარად.

ბორდო. 3 ოქტ. ახალი კაბინეტის პირველი სხდომა გაიმართა 30 სექტემბერს. იხილავდნენ მიმდინარე საქმეებს. ფრაკიაში აღმოჩენილია ბერძნების წინააღმდეგ შეთქმულება. ხელთ იგდეს იარაღი და მოხდა რამდენიმე პირის დაპატიმრება.

ბორდო. 3 ოქტ. საბერძნეთის მთავრობამ მიიღო ვენიზელოსისაგან დეპეშა, სადაც ის აცხადებს, რომ ის მზადაა დაიცვას ბერძნების ინტერესი პარიზში, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ჩამოშორდეს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ურყევია.

ნაუენი. 3 ნოემბერი. ვენიზელოსი ჩავიდა ლონდონში, სადაც ის დაჰყოფს რამდენიმე კვირას პირადი საქმეების მოსაგვარებლად.

რომი. 3 ოქტომბერი. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად საბერძნეთის ახალ ეროვნულ კრების არჩევნები დანიშნულია ნოემბერში. გიორგი მეფე მიიღებს ფიცს ამ კრების წინაშე.

ახლო აღმოსავლეთის საკითხი.

ლონდონში.

ბარდო. 3 ოქტომ. ბუდანიაში მოსალოდნელ კონფერენციის გამო, ლონდონში დღეს განწყობილება უფრო ოპტიმისტურია და გამოსთქვამენ იმედს, რომ სასურველად გადაწყდება ახლო-აღმოსავლეთის საკითხი.

რომში.

რომი. 3 ოქტომ. დღეს გაიმართა კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განიხილეს ბუიონის და ქემალ-ფაშას მოლაპარაკების შედეგები.

პარიზში.

რომი, 31 სექტ. პუანკარემ მიიღო ინგლისის და იტალიის ელჩები და აცნობა ფრანკლინ ბუიონის და ქემალის მოლაპარაკების შედეგი.

მოკავშირეთა გადაწყვეტილება.

რომი, 31 სექტემბ. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს მოახდინონ ფრაკიის ოკუპაცია, სამშვიდობო კონფერენციაზე ყველა საკითხების გადაწყვეტამდე. აგრეთვე გადასწყდა დაიკავონ ადრიანოპოლი და სხვა სტრატეგიული პუნქტები, სხვათა შორის გალიპოლიც. ფრაკიაში მოკავშირეებს განზრახული აქვთ შეადგინონ სპეციალური კომისია, რომლის განკარგულებაშიც იქნება ოსმალეთის დამცველი რაზმი. კომისია იქნება ფრაკიის გამგებელი ზავის ჩამოგდებამდე.

ნეიტრალური ზონა

გარინგტონის ნოტა.

ჰანოვერი. 3 ოქტომბერი. გენ. გარინგტონი თავის ნოტაში წინადადებას აძლევს ქემალ ფაშას გამოგზავნოს ოსმალეთის ოფიცრები ახალი ნეიტრალური ზონის დასაწესებლად, რომლიდანაც ორივე მხარემ უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი კონფლიქტი.

ინგლისის პირობები

ჰანოვერი. 3 ოქტომბერი. ინგლისის პროგრამა მუდანიის კონფერენციაზე მდგომარეობს იმაში, რომ კონფერენციის დროს არავითარი წინსვლა არ უნდა აწარმოვონ ოსმალეთის ჯარებმა ნეიტრალურ ზონაში და კონფერენციის დამთავრებამდე ოსმალეთს არ აქვს უფლება გადავიდეს ევროპის ტერიტორიაზე.

ოსმალეთის მოთხოვნილება.

ნაუენი. 3 ოქტომბერი. ანგორის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა პუანკარეს რომ ის თანახმაა მიიღოს მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებაში, რომლის დროსაც სამხედრო მოქმედება შეწყვეტილი იქნება. მაგრამ დაჟინებით მოითხოვს ფრაკიის ევაკუაციის, რომლის შემდეგ იგი უნდა გადაეცეს ანგორის მთავრობას.

მოკავშირეთა პასუხი.

ნაუენი. 3 ოქტომბერი. ქემალ ფაშას საპასუხოთ, ბერძნების მიერ ფრაკიის ევაკუაციის შესახებ, მოკავშირეებმა განუცხადეს ქემალ ფაშას, რომ მუდანიის კონფერენციას მოელის საფრთხე, თუ ის უარს განაცხადებს ნეიტრალურ ზონიდან ჯარების გაყვანაზე. მაგრამ არავითარი ულტიმატუმი არ იქნა წარდგენილი.

საფრანგეთის პრესის აზრი.

ნაუენი. 3 ოქტომბერი. პარიზის პრესა ოპტიმისტურად უცქერის ახლო აღმოსავლეთის საკითხს, ვინაიდან ფრანკლინ ბუიონმა აცნობა, რომ ქემალ ფაშა თანახმაა, რათა სამშვიდობო კონფერენციის მიერ საკითხის გადაწყვეტამდე, ფრაკია იქნას დაკავებული მოკავშირეთა ჯარების მიერ. გაზ. „პტი-პარიზიენი" მოითხოვს, რათა ინგლისის ჯარები გაყვანილ იქნან დარდანელის და ბოსფორის ჩრდილოეთის ნაპირებზე, ხოლო ოსმალებმა დასცალონ დარდანელის ნეიტრალური ზონა გაზ. „პტი ჟურნალის" აზრით შეთანხმება მიღწეულ იქნება ახლო მომავალში პარიზში დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს მონაწილეობას ინგლის-ოსმალეთის შეიარაღებულ კონფლიქტში.

თავმოყვარეობა.

ნაუენი. 3 ოქტომბერი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჯარების ჩანაკიდან გაყვანა არ შეიძლება, ვინაიდან ეს დასცემდა ინგლისის პოლიტიკურ პრესტიჟს აგრეთვე აბათილებენ საქმეებს კონსტანტინოპოლიდან იტალიის ჯარების გაყვანის შესახებ.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა.

ბორდო. 3 ოქტ. ანგორის მთავრობამ შეიმუშავა მოკავშირეთა კოლექტიურ ნოტაზე პასუხის თეზისები, რომელიც დამტკიცებულ იქნა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მიერ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ლენინი.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. გახსნილ ყრილობაზე (დამახინჯებულია).. რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელით ყრილობას მიესალმა რადეკი, რომელმაც განაცხადა, რომ ამხ. ლენინი დღეს ხვალ შეუდგება მუშაობას სახალხო კომისართა საბჭოში.

უკრაინის ჯარების შორის.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. უკრაინის ჯარების მთავარ სარდალმა ფრუნზემ მოახდინა უკრაინის ჯარების დათვალიერება. იმჩნევა სრული მომზადება.

სამკურნალო ტალახი.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. პეტროვსკის მახლობლად აღმოაჩინეს სამკურნალო ტალახის დიდი ფენები, რომელსაც აქვთ უმაღლესი რადიო აქტივობა.

არჩევნები ქალაქის საბჭოში.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. სემიპალატინსკში და ირკუტსკში დამთავრდა ხელ ახალი არჩევნები ქალაქის საბჭოებში. არჩეულ კომუნისტების რიცხვი უდრის 90 პროცენტს.

პრესის მოღვაწეთა შორის

მოსკოვი. 3 ოქტ. მოსკოვში გაიხსნა პრესის მუშაკთა ცეკას პლენუმი ბუბნოვის მოხსენებით, რომელიც შეეხებოდა პრესის ამოცანებს და ახალ პირობებს. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ჩვენმა პრესამ უნდა დაიჭიროს მოწინავე ადგილები.

ჩვენს მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან უნდა ვაწარმოვოთ ენერგიული ბრძოლა.

საბჭოთა მართლმსაჯულება

მოსკოვი. 3 ოქტ. პეტროგრადის რკინის გზის ტრიბუნალმა მიუსაჯა აგენტს მექრთამეობისათვის დახვრეტა.

ქირურგების და ტერაპევტების ყრილობა

მოსკოვი 3 ოქტ. დაიხურა რუსეთის ქირურგების და ტერაპევტების ყრილობები.

ყრილობებმა აღნიშნეს რუსეთის მეცნიერების წინსვლა. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს პარტახტიანი სახადის გამომწვევის აღმოჩენა.

რუსეთი ლეიპციგის ბაზრობაზე

ბერლინი. „როტე ფანე" ლეიპციგის ბაზრობის დაწვრილებით აღწერის შემდეგ, სხვათა შორის, ამბობს იქ რუსეთის მონაწილეობის შესახებ.

„პირველად ლეიპციგის ბაზრობაზე —ამბობს გაზეთი, გამოდის თავისი ექსპონატებით საბჭოთა რუსეთი.

ლეიპციგის ბაზრობის ვეებერთელა ზღვაში ცალკე ექსპონატები სავსებით იკარგებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა საბჭოთა რუსეთმა შესძლო გამოეჩინა თავისი სახე და თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა ბაზრობაზე.

ცეკავშირის მთავარ ექსპორტებს წარმოადგენს: სელი, კანაფი, პურის ჩენჩო, ტყავი, ძუა, ჯაგარი, სამკურნალო საქონელი და სხვა.. მთავარ მონაწილედ ითვლება ცეკავშირი, რომელმაც დაიკავა მთელი განყოფილება რუსულ პავილიონში. ცეკავშირის გარდა ყურადღება იპყრობს შინამრეწველობის განყოფილება. ეს განყოფილება წარმოადგენს 890 კოოპერატივისა ცალკე წვრილ წარმოებათა კავშირს, რომლებიც ერთიანდებიან „სევერო-კუსტობ"-ის სახელწოდებით.

განსაკუთრებით მოსჩანს ნოვგოროდის ნაწარმოები კრუჟევი საცინები და სხვა. საგანგებო განყოფილება უჭირავს პეტერგოფის ჩამოსასხმელ ფაბრიკას, სადაც მოიპოვება ძვირფასი ხელოვნების ქვები და მატერიალი ნაწარმოებნი ფოროფორისაგან. დიდ ინტერესს იწვევს დამსწრეებში შინამრეწველობის სათამაშოების განყოფილება. ბეწვეულობის საქონლის განყოფილებაში რუსეთს უპირატესად პირველი ადგილი უჭირავს.

ლეიპციგის ბაზრობის ყველა ექსპონატები წარმოადგენენ დამტკიცებას იმისა, რომ რუსეთი გამოვიდა ბლოკადის მდგომარეობიდან და მისი წარმოება ადგება დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ წარმოებასთან კონკურენციის გზას.

ყირიმის რესპუბლიკაში.

სიმფეროპოლი 28 სექტ. 20 სექტემბერს სიმფეროპოლის რადიო სადგური შეუდგა კერძო რადიოგრამების მიღებას, საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაზე ყველა ქალაქებისათვის გადასაცემად, რომლებსაც აქვთ თავიანთი რადიო-სადგურები. სიმფეროპოლის რადიო სადგური უშუალოდ დაკავშირებულია ხარკოვთან, როსტოვთან, კიევთან და ოდესასთან.

შინამრეწველობა.

სიმფეროპოლი. 28 სექტემბერი. წინანდელ წლებში ყირიმში შინამრეწველობა საგრძნობლად იყო განვითარებული. აქ მოიპოვებოდა ტიპიური ადგილობრივი ხალხური ნაწარმოებნი, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა—ადგილობრივ ქურქების ოჯახისათვის საჭირო ნივთების დამზადებას. უკანასკნელ დროს იმჩნევა ყირიმის შინამრეწველობის ყველა დარგების დაცემა. ამ ჟამად შინამრეწველობის საკითხით დაინტერესებულია ყირიმის ეკონომიური თათბირი, რომელიც შეუდგა ადგილობრივ შინამრეწველობის ნაწარმოების მასალების შეკრებას.

კონსერვის წარმოება.

სიმფეროპოლი. 28 სექტემბერი. მიმდინარე სეზონი ყირიმის სახელმწიფო კონსერვების მრეწველობისათვის არ არის მაინცა და მაინც ხელსაყრელი. ყირიმის კონსერვების მრეწველობის სამმართველო ღებულობს ენერგიულ ზომებს დაბრკოლებების გადასალახავად. მომავალ საოპერაციო წლისათვის განზრახულია შემდეგი პროდუქტების დამზადება: თევზის კონსერვების—1,000,000 კოლოფი, მურაბების 5,000 ფუთი, კომპოტის—1,000 ფ. და სხვა.

მარილის მრეწველობა

სიმფეროპოლი 28 სექტ. სიმფეროპოლში ახლო მომავალში განზრახულია მოიწვიოს ყირიმის მარილის სამრეწველო რაიონების გამგეთა ყრილობა, რათა განხილულ იქნეს ღონისძიებანი მარილის მრეწველობის აღდგენისათვის. ამის გამო ყირიმის მარილის ტრესტმა დაარსა სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს მუშაობის გეგმას ამ ყრილობისათვის.

თამბაქოს მრეწველობა.

სიმფეროპოლი. 28 სექტემბერი. მრავალ გარემოებებთან დაკავშირებით, ფირმის სახელმწიფო თამბაქოს მრეწველობა იძულებული იყო შეემცირებინა თავისი წარმოება ამ ჟამად აუმუშავებელი ყირიმის თამბაქოს ფაბრიკები ეხლა ეძლევა იჯარით მწარმოებლებს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

გერმანიის პროტესტი

ბერლინი. ბუდაპეშტში მყოფმა გერმანიის რწმუნებულმა გადასცა ჰუნგრეთის მთავრობას საპროტესტო ნოტა, რომ გერმანიის კონტრ-რევოლუციონერებს და მონარქისტებს მჭიდრო კავშირი აქვთ ჰუნგრეთის რეაქციონულ წრეებთან და იღებენ მათგან დახმარებას. გერმანიის მთავრობა მოითხოვს ამომწურავ განმარტებას ჰუნგრეთის მთავრობისაგან და გამოსთქვამს იმედს, რომ ჰუნგრეთის მთავრობა მომავალში ნებას არ მისცემს გერმანიის კონტრ-რევოლუციონერებს თავი მოუყარონ ჰუნგრეთის ტერიტორიაზე. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ ჰუნგრეთის მთავრობას არა აქვს უფლება გაუწიოს დახმარება გერმანიის კონტრ-რევოლუციონურ ელემენტებს, ნაგრამ მათი დაშვება ჰუნგრეთის ტერიტორიაზე უდრის მათთვის დახმარების აღმოჩენას.

შუა ევროპის კრიზისის გამწვავება

ბერლინი. გაზ. „ნაციონე" შესაძლებლად სთვლის სამხრეთ სლავის ჯარების შესვლას ავსტრიის საზღვრებში. ეს შესვლა შეიძლება დამთავრდეს შტირიის და კარინციის დაკავებით. იტალიის მინისტრთა საბჭო უნდა მოელოდეს ამ გვარ ოკუპაციის შესაძლებლობას.

გაზეთი „როტე ფანე"-ს მოჰყავს ეს ცნობა და დასძენს: „ავსტრიის კრიზისი იღებს მოულოდნელ მიმართულებას და მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ცნობას, სამხრეთ-სლავის შესვლის შესახებ, აქვს ცენტრალური ხასიათი, მაინც იტალიის პოზიცია ამძაფრებს მდგომარეობის სირთულეს.

რომში სამხედრო მინისტრი აწარმოებს მოლაპარაკებას ავსტრიის დაცვის შესახებ მცირე ანტანტის მოსალოდნელ თავდასხმისაგან.

გაზ. „ნაციონე"-ს სიტყვით ავსტრიის მთავრობამ დახმარება სთხოვა იტალიას. იტალიის იმპერიალიზმი და [illegible] ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს ავსტრიის ხელში ჩასაგდებად. იმ დროს როდესაც სამხრეთ სლავის ზურგში დგას საფრანგეთი და ინგლისი, სასურველია იტალიის გამარჯვება.

ნორვეგია

ნორვეგიის კომუნისტური პარტიის 35 წლის თავი.

ბერლინი, გაზ. „სოციალდემოკრატ". სწერს: „ნორვეგიის მუშათა პარტიამ, რომელიც მხარს უჭერს კომუნისტურ ინტერნაციონალს, იდღესასწაულა 35 წლის იუბილე. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა მისალოცი დეპეშა.

ნორვეგიის მუშათა პარტია არის მე 3 კომინტერნის ერთი უძველესი სექცია.

ნორვეგიის მუშათა კავშირებმა, როგორც ვიცით, მხარი დაუჭირეს წითელ ინტერნაციონალს.

სხვა და სხვა ცნობები.

ამერიკელების დახმარება გერმანიას.

ჰანოვერი. 3 ოქტ. 2 ოქტომბერს პრუსიის ლანტდაგში სიძვირის საწინააღმდეგო ზომების განხილვის დროს [illegible] მოქმედების მინისტრმა ვენ ფორთმა გამოსთქვა მადლობა ამერიკელ კვაკერების მიმართ გერმანიის ხალხისადმი დახმარებისათვის. პრუსიის პრემიერ მინისტრმა მიუთითა ამერიკელ გერმანელთა შორის შეკრებილ 3 მილ. დოლ. შეწირულებაზე.

საჰაერო მიმოსვლა.

ჰანოვერი. 3 ოქტ. წამოყენებულია საკითხი ლონდონსა და კელნს შორის საჰაერო მიმოსვლის ორგანიზაციის შესახებ. ოქტომბერში ფიქრობენ დაიწყონ სინჯი ფრენა საზოგადოება „ინსტონლაინის" აეროპლანებით.

მუშების გამარჯვება.

ჰანოვერი. 3 ოქტ. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა დანციგში დამთავრდა. მუშების მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ დაკმაყოფილებულია.

ზემო სილეზიის პოლონურ ნაწილში

ჰანოვერი. 3 ოქტ. ზემო სილეზიის პოლონურ ნაწილში პოლონეთის სეიმის არჩევნების დროს გერმანიის პარტიებმა მიიღეს 14 მანდატი, პოლონეთის პარტიებმა—34 მანდატი. გერმანიის პრესა ამტკიცებს, რომ ეს ციფრები მაჩვენებელი არიან გერმანიის პარტიების წარმატებისა, რომელთაც, მიუხედავად გერმანელების მასიურ ემიგრაციისა და პოლონელების იმიგრაციისა, მაინც მიიღეს ყველა მანდატების 1 მესამედი და ამგვარად შესძლებენ ბევრ საკითხებში ხმის უმეტესობის შეკრებას, კორფანტის ბლოკისა და პოლონეთის დანარჩენ პარტიებს შორის არსებულ განხეთქილების მეოხებით.

ელზას ლოტარინგიაში

ჰანოვერი. 3 ოქტ. 3 ოქტომბერს დაიწყებს მუშაობას სესია ელზას ლოტარინგიის საქმეების საგანგებო კომისიისა.

ავსტრიაში.

ბორდო, 3 ოქტ. ავსტრიის ოფიციალურ წრეებში გამოსთქვამენ იმედს, რომ ავსტრიის აღდგენისათვის გადასადგმი ნაბიჯები არ იქნება გადადებული, და იქვე არ ეპარებათ, რომ ერთა ლიგა ბოლოს მოუღებს იმ გაუგებრობას, რომელიც შექმნილია იტალიის კაბინეთის პოზიციით.

პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია.

ბორდო, 3 ოქტ. პრაგიდან იტყობინებიან, რომ იავორინის და ტატარეცკის რაიონში საზღვრების დაწესების დროს მოხდა ინციდენტი. საკავშირო საზღვრების კომისიამ განიხილა რა ეს ინციდენტი, მოაგვარა ის პოლონეთის სასარგებლოდ, მიუხედავად ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის პროტესტისა. ბენეშმა შეიტანა პროტესტი ელჩების კონფერენციაზე, რომელმაც გადასწყვიტა, რომ თუ არ მოხდა მეგობრული შეთანხმება ორივე მხარეთა შორის, საზღვარი დაწესდება არსებულ ხელშეკრულების თანახმად. მაგრამ, ჩეხოსლოვაკების დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ ელჩთა კონფერენციამ გააუქმა საზღვრების კომისიის დადგენილება.

გერმანიის ბონების აღრიცხვა.

ნაუენი. 3 ოქტომბერი. შვეიცარიის ბანკებმა მოახდინეს ბელგიისათვის გადაცემულ 4 ნახ. პროცენტიანი გერმანიის ხაზინის ბონების აღრიცხვა.

ინგლისში არჩევნების გამო.

ნაუენი. 3 ოქტომბერი. ინგლისის „მშრომელთა პარტიის" კომიტეტმა გადასწყვიტა დაიწყოს ხელახალ არჩევნების კამპანია 21 ოქტომბერს. ამ დღიდან დაიწყება ყოველ დღიური მიტინგები.

რატენაუს მკვლელობის გამო.

ბორდო. 2 ოქტომბერი. რატენაუს მკვლელობის პროცესი იწყება დღეს სახელმწიფო სასამართლოში ბერლინში.

ლეიტენანტ გრესის მოკვლა.

ბორდო. 2 ოქტომ. ბელგიის ტერიტორიაზე შეიპყრეს ლეიტენანტი ლეინ გარდი, შვიდი თანამშრომელი გერმანიის პოლიციისა და სამი ქალი. ყველა აღნიშნულმა აღიარეს თავიანთი დანიშნული ბელგიელი ლეიტენანტის გრესის მკვლელობაში.

ამერიკის ესკადრა.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. ამერიკის განმანადგურებელ გემების ესკადრა გავიდა კონსტანტინოპოლში.

ბელგია და ავსტრია.

რომი. 2 ოქტომბერი. ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ავსტრიის ფინანსიურად აღდგენაში.

ფულის კრიზისი.

ჰანოვერი. 1 ოქტომბ. გერმანიაში ფულის ნიშნების კატასტროფიული სიმცირის გამო, წარმოიშვა მრეწველობის კრიზისი. მრავალი დაწესებულებები ვერ აძლევენ ჯამაგირების მიცემას მუშა მოსამსახურეთათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათუმი.

უცხოეთის გემების მისვლა. 1 და 2 ოქტომბერს კონსტანტინეპოლიდან ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემები: საფრანგეთის „სუარა" 67890 ფ. ტვირთით, იტალიის „სემირამის" 120 ტონი ტვირთით და „კორნარს" 200 ტონი საქონლით. გემები არავის არ გაუსინჯავს და დარდანელში დაუბრკოლებლივ, გაიარეს. მოხალისე ფლოტის შავი და აზოვის ზღვის განყოფილების გამგემ განაცხადა, რომ დარდაველი არ არის დაკეტილი სავაჭრო გემებისათვის.

გემი იჯარით. საქართველოს საზღვაო-სატრანსპორტო სამმართველო აწარმოებს ოდესაში მოლაპარაკებას სახელმწიფო გემთა სამმართველოსთან გემის იჯარით გადაცემის შესახებ.

მოხალისე ფლოტი და ამიერ კავკასია. „ტრუდოვოი ბათომის" თანამშრომელთან საუბარის დროს მოხალისე ფლოტის შავი ზღვის და ზოვის განყოფილების გამგემ ამხ. ლუკაჩერმა განაცხადა: „ჩვენი მოღვაწეობა ამიერ კავკასიაში დაიწყო 20 სექტემბერს ბათომში მოხალისე ფლოტის განყოფილების გახსნით. იმ დროს როდესაც საქმის მთელი ტეხნიკური მხარე წარმოებულ უნდა იქნეს ბათომში, ყველა საორგანიზაციო საკითხები, რომელთაც პრინციპიალური ხასიათი აქვთ ირჩევა და მუშავდება თბილისში, და ამიტომ განყოფილების გამგეს ხშირად უხდება იქ გამგზავრება. ბათომის კანტორის განკარგულებაში იქნება ამიერ კავკ საგარეო ვაჭრ. კომისარიატის და ზოგი ერთი სხვა აწყობები. შემდეგი განყოფილებები ამიერ-კავკასიაში გაიხსნება ფოთში და სოხუმში.

პირველ[illegible] მნიშვნელოვანია შავი ზღვ[illegible] რე თამბაქოსა და ტყის მასალის გასაზიდათ. თბილისში გაიხსნება მოხალისე ფლოტის გაერთიანებული კანტორა, რომელიც თავს მოუყრის [illegible] მოღვაწეობას ამიე[illegible] კასპიის ზღვით მხა[illegible]

ტფ[illegible]

შრომის ხარაით[illegible] [illegible] მოლ[illegible]

უმუშევრობა. [illegible] რიცხული ჰყავს 2[illegible] მათ შორის აგვისტ[illegible] 60 კ. უმუშევართ ეძლ[illegible]

კონფლიქტი იყო 19, [illegible] გაირჩა 14 მუშების სასა[illegible] მწარმ[illegible]ელთა სასარგებლ[illegible] თავრ[illegible] შეთანხმებით და 3 [illegible] ბულია.

შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის დაჯარიმებულია 20 დაწესებულება [illegible] კერძო პირი, მათ შორის კე[illegible]ები 33.600 ათ. მანეთით და [illegible] სახელმწიფო დაწესებულებები 43500 ათ. მანეთით, მათ რიცხვში სატყეო კომიტეტი 37.500 ათ. მანეთით.

ტვირთზიდვის გადასახადი. ტვირთზიდვის გადასახადის წესით გზების და ხიდების შესაკეთებლად, განყოფილებამ გაიწვია სამუშაოზე 785 მუშა და 228 ურემი. ტვირთზიდვის გადასახადის აკრეფა სწარმოებს და აგვისტოში ქიათურაში აკრეფილია 6.600 ათ მანეთი.

სომხეთი

ერევანი. 2 ოქტომბერი. **ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული.** ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობად არჩეულია კომისია შახვერდიანის თავმჯდომარეობით. ადგილობრივ არჩეულია კომისიები.

წონის ზომების გადასინჯვა. წონის ზომების გადასინჯვით ყოველდღიურად შემოდის 500 მილ. მანეთი სომხური ფულის ნიშნებით.

არა პირდაპირი გადასახადების შემოსავალი. 1 სექტემბრამდე ფინანსთა სახალხო კომისარიატის კასაში შემოვიდა არა პირდაპირი გადასახადის სახით 40 მილიარდი მანეთი. 1-დან 15 სექტემბრამდე კი—44,5 მილიარდი მანეთი სომხური ფულის ნიშნები. მოელიან კიდევ 5,513 მან. 60 კაპ. შემოსავალს ოქროთი.

სამხედრო ტვირთები. სამხედრო კომისარიატის საპასუხოდ, ერევანის ქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა განთავისუფლოს გადასახადისაგან სამხედრო ტვირთები და საქონელი.

საქონლის გაცვლა - გამოცვლა. სასურსათო სახალხო კომისარიატი აწარმოებს მთელს სომხეთში საქონლის გაცვლა გამოცვლის ოპერაციებს. ამ მიზნით გაიხსნა სპეციალური მაღაზიები, რომლებმაც შემოუტანეს სასურსათო სახალხო კომისარიატს 10,000 ფუთი მარცვალი.

სასურსათო გადასახადი. სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობებით, 1 ოქტომბრამდე აკრეფილია სასურსათო გადასახადის 50 პროცენტი.

ბამბის მოსავალი. ბამბის მოსავალის აკრეფა დაწყებულია. მოსავალი დამაკმაყოფილებელია, ბამბის მომშენებელმა კომიტეტმა დაადგინა აწარმოვოს გაწმენდა და დამზადება თავისი საკუთარი საშუალებით.

გაზეთის საქმის გაუმჯობესება. ერევანში დიდი მუშაობა სწარმოებს მუშურ ფრონტზე: გაზეთი „ხორურდაინ აიასტანი" გამოვიდა დიდი ფორმატით ახალი და ლამაზი შრიფტებით. პოლიგრაფიული განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით მოწყობილი სიტყვების ჩამოსასხმელი მანქანა მუშაობს კარგად.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოადგილის მინდობილობით ამხ. ათამეკიანმა შეადგინა მმართველობის ახალი ინსტრუქცია. მმართველობის სათავეში მდგომი კოლეგიის რწმუნებული უქმდება, ენიშნებიან განყოფილების გამგეები. საგადასახადო სამმართველო და სახელმწიფო ბანა რჩებიან შეუცვლელად.

ერევანი 30 სექტემბერი.

ახალი ჟურნალი.

იბეჭდება და ოქტომბერში გამოვა სამეცნიერო-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი „ნორკ." ნომერი სექტემბრისა და ოქტომბრისათვის შესდგება 320 გვერდიდან.

მუშა-მოსამსახურეთა ტარიფი.

სატარიფო საბჭომ გაადიდა მუშა-მოსამსახურეთა ტარიფი, დააწესა, მინიმუმი 30,000,000 — მაქსიმუმი 75,000,000 თვიურად, სომხური ფულის ნიშნებით.

მილიციონერების ტარიფი.

სატარიფო საბჭომ შესცვალა მილიციონერების ჯამაგირი, მოუმატა რა ქვეითა მილიციონერებს 8 კა[illegible]გორიამდე, ხოლო ცხენოსნებს 11 მდე.

ვენახების იჯარა.

მიწად მოქმედ[illegible] კომი[illegible] გადა[illegible] ილოს [illegible] გამ სა[illegible] რომ ლ[illegible] ყოფილიყო [illegible] მდე გადაგზავნილია [illegible]ტია, სულ 10,000 კაცამდე.

გზატკეცილის შეკეთება.

ახალ ბაიაზეთის აღმასკომი შეუდგა ახალ-ბაიაზეთ-ელენოვკას გზატკეცილის შეკეთებას.

ტელეფონის კავშირი.

ალექსანდროპოლის აღმასკომმა უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა მოაწყოს ტელეფონის კავშირი უბნების შორის. ამისათვის ერევნიდან გამოწერილია საჭირო მასალების საკმაო რაოდენობა.

აზერბეიჯანი

აგრონომიული დახმარება. მიწად მოქმედების კომისარიატის მთავარ სავაჭრო კანტორამ გაგზავნა ლენკორანის, სალიანის, კუბინის, ნუხის, გარიაგინის, ჯევანშირის და გაჯინის მაზრებში 500-ზე მეტი სხვა და სხვა სისტემის გუთანი და დიდი რიცხვი სიმინდის სალეწავისა და სხვა და სხვა გვარ წვრილ ინვენტარისა მცხოვრებთათვის მისასყიდათ მტკიცე ფასებში.

მილიციის შენახვა. ბაქოს აღმასკომის სამმართველოს განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა ბაქოს საბჭოს მიერ, ბაქოს მილიციის შენახვისა და გამოკვებისათვის საჭირო ხარჯის თავის თავზე მიღების შესახებ. შუამდგომლობა დასაბუთებულია [illegible] მით, რომ ხაზინა, მიუხედავად განყოფილების მრავალჯერ მიმართვისა, ვე[illegible] ასწრებს მილიციის დაკმაყოფილე[illegible]ბას ჯამაგირის მიცემით და ტანისამოსის მომარაგებით. ა[illegible] ჟამად მილიციას ჯერ არ მიუღია ივლისის და აგვისტოს ჯამაგირი. ახლო წარსულში ეს საკითხი ირჩეო[illegible] და ბაქოს საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში, რომელმაც უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა, სათანადო საშუალების უქონლობის გამო. სამმართველოს განყოფილება ამ საკითხს აყენებს ამ ჟამად ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმში, რომელსაც წარუდგენს ამასთან ერთად ახალ ცნობებს ა

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს ათს მაზრაში, სადაც წრევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება სწარმოებს, სექტემბრის 30-სთვის ხორბლეულის ერთეულით აკრებილია 320,232 ფუთი, ანუ 55,5 პროცენტი. აღმოსავლეთ საქართველოზე შეწერილ გადასახადისა.

რამდენია თვითეულ მაზრაში აკრეფილი?

ქემო მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რამდენი ფუთი ხორბალი აქვს შეწერილი თვითეულ მაზრას, რამდენი ფუთია შეგროვილი ხორბლეულის ერთეულით და შეგროვილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენ პროცენტს შეადგენს.

მაზრები:	რამდენი ფუთი ხორბალი აქვს წელს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
თელავისა	60.000	50.301	83.8
გორისა	100.000	82.000	82.0
სამხრეთ ოსეთი	20,000	15.339	76.7
სიღნაღისა	100.000	71.867	71.8
ტფილისისა	70.000	35.200	50.3
ახალციხისა	55.000	32.326	68.7
დუშეთისა	35.000	11.556	33.0
ახალქალაქისა	36 000	7 585	23,7
თიანეთისა	20.000	8.979	44.8
ბორჩალოსი	80.000	5.067	6.3
სულ	576.000	320.232	55.6

რა პროდუქტებია აკრეფილი

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში, სადაც ამ ჟამად სასურსათო გადასახადის შეგროვებაა დაწყებული, უმთავრესად იკრიბება ხორბალი. დანარჩენი პროდუქტები ცოტა შემოდის და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელს მართლაც არ მოეპოვება ხორბალი. ცალ-ცალკე მაზრაში შემდეგი სურათია:

ახალქალაქის მაზრა. შეგროვილია: ხორბალი—2.604 ფ., ქერი—3.492 ფ., ჭვავი—1.667 ფ., ხორცი—1.097 ფ. და ფულად—16.955.000 მან. ამ რიგად მთელ შეგროვილ გადასახადში ხორბალი შეადგენს 34 პროცენტს.

ახალციხის მაზრა. ქერი—2.251 ფუთი, ქერდიკა—361 ფ., კართოფილი—1.449 ფუთი, ხორცი—646 ფუთი, ფულად229.700 მან. და ხორბალი—27.882 ფუთი, ანუ 86,8 პროცენტი მთელის შეგროვილ გადასახადისა.

ბორჩალოს მაზრა. აკრეფილია მხოლოდ ხორბალი—5.067 ფუთი.

გორის მაზრა. აკრეფილია განსაკუთრებით ხორბალი—82.000 ფუთი.

დუშეთის მაზრა. ქერი—134 ფუთი, კართოფილი—10 ფუთი, ლობიო—78 ფუთი და ხორბალი—11439 ფუთი, ანუ 98,9 პროცენტი შეგროვილ გადასახადისა.

ტფილისის მაზრა. ქერი—1.090 ფუთი, სიმინდი—15 ფუთი, კართოფილი—1.479 ფ., ლობიო—6 ფუთი, მატყლი—13 ფ., ფულად—828.387.000 მან. და ხორბალი—13.102 ფუთი, ანუ 37,2 პროცენტი შეგროვილ გადასახადისა.

თელავის მაზრა. ქერი—1.200 ფ., სიმინდი—460 ფ., კართოფილი—30 ფ., ლობიო—3.400 ფ. და ხორბალი—46.700.000 მან., ანუ 92,8 პროც. შეგროვილ გადასახადისა.

თიანეთის მაზრა. ქერი—[illegible] ფუთი, კართოფილი—32 ფ., ლობიო—80 ფ., ხო[illegible] ფ. და ხორბალი—7.701 ფ., ანუ 85,8 პროცენტი შეგროვილ გადასახადისა.

სიღნაღის მაზრა. ქერი—2.880 ფ., სიმინდი—460 ფ., ფეტვი—401 ფ., კართოფილი—89 ფ., ლობიო—3.920 ფუთი, მატყლი—253 ფ., ფულად—3.795.000 მან. და ხორბალი—65.330 ფ., ანუ 90,9 პროცენტი შეგროვილ გადასახადისა.

სამხრეთ-ოსეთი. ქერი—2.130 ფუთი, კართოფილი—16 ფ., ლობიო—[illegible] ფ. და ხორბალი—13.908 ფ., ანუ 90,7 პროცენტი შეგროვილ გადასახადისა.

ამრიგად აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ათს მაზრაში სულ შეგროვილია კამპანიის დაწყების დღიდან სექტემბრის 30 მდე: ქერი—13.704 ფ., სიმინდი—936 ფ., ჭვავი—1,667 ფ., ფეტვი—401 ფ., ქერდიკა—361 ფ., კართოფილი—3,279 ფ., ლობიო—8 083 ფ., მატყლი—266 ფ., ხორცი—[illegible].883 ფ., ფულად—1.108.837.000 მან. და ხორბალი—275.734 ფ., ანუ 86.1 პროც. მთელის შეგროვილის გადასახადისა.

[illegible] სასურსათოდ გადაწყვეტი[illegible]თვის.

[illegible] ნუხის აღმასკომის თავმჯდომარისაგან სასურსათო სახ. კომისარიატმა მიიღო შემდეგი დეპეში: „სასურსათო გადასახადის აკრეფა მარცვლეულობით შესრულებულია სავსებით“.

საბჭოთა აზერბეიჯანის წარმომადგენელი ანგორაში. ბაქოში ჩამოვიდა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. აბილევი, რომელიც დაესწრება ბაქოს საბჭოს სახ. კომისართა საბჭოს და აზერბაიჯანის ცენტრ. აღმას. კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე და გააკეთებს მოხსენებას ახლო აღმოსავლეთის და ქემალისტების ოსმალეთის მდგომარეობის შესახებ. რამდენიმე დღეში ამხ. აბილევი მიემგზავრება უკანვე ანგორაში.

დახმარება ნახიჩევანის მხარეს. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა: წინადადება მიეცეს ფინანსთა სახ. კომისარიატს აძლიოს ნახიჩევანის მხარეს ყოველ თვეურათ 10 მილიარდი მანეთი, მიეცეს სახალხო კომისართა საბჭოს ფონდიდან 5.000 ფ. ნავთი, 5.000 ფ. მაზუთი და 100 ფ. ბენზინი. წინადადება მიეცეს ნავთის-სინდიკატს გახსნას ნახიჩევანის მხარეში ნავთის პროდუქტების საწყობი და მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატმა შეიტანოს ნახიჩევანის მხარე კალიასთან ბრძოლის სახელმწიფო გეგმაში.

დამცველთა დამხმარე კომიტეტის ლატარია. 29 სექტემბერს ბაქოს საბჭოს დარბაზში მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ფინანსთა სახ. კომისარიატის, ბაქოს საბჭოს და დამშეულთა დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელთა თანდასწრებით გათამაშდა დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კ-ის ლატარია. გათამაშებას დაესწრო აუარებელი ხალხი. ბილეთების ამოღების პროცედურას აწარმოებდენ საბავშო სახლის ბავშვები. მთავარი მოგება 1 მილიარდი მანეთი ერგო № 22444-ს.

ქრონიკა

ხორცის ჰიგიენური გადაზიდვა. კომუნალური მეურნეობის განყოფილების კოლეგიას განზრახული [illegible] საქალაქო ტრანსპორტის მოწყობამდე დასდოს ხელშეკრულება სააგენტო საკომისიო კანტორასთან „მშრომელი“, კერძო ხორცის მოვაჭრეებიდან ხორცის საზარბო ავტომობილების გამოზიდვის შესახებ, რომლებიც მოწყობილი უნდა იქმნენ ჰიგიენურად.

გადასახადი [illegible] შემოღებული იქნება ნიხრი, რომელიც, როგორც სანიტარული ხასიათის მოთხოვნილება გავრცელდება ყველა პირებზე, რომლებიც ეზიდებიან ხორცს.

სასაკლაოების მოვლა. კომუნალური მეურნეობის განყოფილების კოლეგიას განზრახული აქვს აწარმოვოს სასაკლაოების საკუთარი საშუალებით მოვლა და ლიკვიდაცია [illegible] პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან შეთანხმებით იმ საკითხს, რომელიც შეეხება სასაკლაოზე მომუშავე არტელებს და კერძო პირებს როგორიც არიან დამჭრელები და სხვა.

საექიმო წიგნთსაცავი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებასთან ახლო მომავალში იხსნება სპეციალური საექიმო წიგნთსაცავი, სადაც მოთავსებული იქნება უახლოესი ლიტერატურა. წიგნთსაცავი ემსახურება ექიმებს, საავადმყოფოებს და საექიმო-სანიტარული შრომის კავშირის წევრებს თბილისის ფარგლებში.

მუშა ძალის მოძრაობა 26—28 სექტემბრისათვის. თბილისის შრომის ბირჟაში აღნუსხულია 2661 უმუშევარის გამოცხადება, მათ შორის 1298 მამაკაცია და 1361 ქალი, ხელახლა გატარდნენ რეგისტრაციაში 427 უმუშევრაი, მათ შორის 298 მამაკაცი და 129 ქალი. მოთხოვნილება მუშა ხელზე შემოვიდა 128, მათ რიცხვში 87 მოთხოვნილება მამაკაცზე და 21 ქალზე. გაიგზავნა სამუშაოზე 191 უმუშევარი, მათ შორის 145 მამაკაცი და 46 ქალი. უმუშევართა აღრიცხვიდან მოხსნილია ერთი მამაკაცი.

◆ **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** 1 სექტემბერს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის საჯიშლო განყოფილებამ აცრით გადაარჩინა 9137 სული საქონელი, რაც ფულზე გადაჭურდავებით თუ ვიანგარიშებთ წარმოადგენს 31 მილიარდ სახალხო ფულების გადარჩენას.

◆ **საავადმყოფოების მოწყობილება.** საბჭოთა რუსეთიდან დაბრუნდა ექიმი კანდელაკი, რომელიც გაიგზავნა იქ სპეციალურად 2000 საწოლების მისაღებად საავადმყოფოებისათვის, რომელმაც აღნიშნა, რომ 1200 საწოლების უკანასკნელი პარტია უკვე იგზავნება ამიერ კავკასიის რკინის გზით.

◆ **საქართველოს ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეობის ყრილობა** მოწვეულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ნოემბერში. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განყოფილებები ამზადებენ მასალებს ყრილობის მუშაობისათვის.

◆ **საბჭოს კომუნალურ სექციაში.** სალამოს 2 ოქტომბერს, ამხ. წივწივაძის თავმჯდომარეობით, შესდგა თბილისის ქალაქის საბჭოს კომუნალურ საქმეთა სექციის სხდომა. დაესწრო 40 კაცი.

ეს იყო სექციის პირველი ორგანიზაციული სხდომა, რომელზედაც ამხ. წივწივაძემ დაწვრილებით დაახასიათა კომუნალური განყოფილების მოღვაწეობა, რომელიც ქალაქის აღმასკომის დანარჩენ განყოფილებებთან შედარებით წარმოადგენს უდიდეს განყოფილებას და რომელიც ჰფარავს ქალაქის აღმასკომის ხარჯების 70 პროცენტს. მოსმენის და კამათის შემდეგ მუშაობის ჯამის შესახებ, სექციის პლენუმმა აუცილებლად სცნო მიმდინარე სხდომაზე დაკმაყოფილდეს მოსმენილ მოხსენებით, ხოლო უფრო დაწვრილებითი მოხსენება მოისმინონ შემდეგ სხდომებზე, რომლებიც გაიმართება ორშაბათობით [illegible] დროს მორიგ სხდომისათვის შემუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) წყალსადენის შესახებ: ა) ინსტრუქციების გადასინჯვა წყალზე ფასის გადახდევინების შესახებ, ბ) წყლის აღრიცხვა საზოგადოდ და შერეულ სახლებში; 3) უფასო ბოჭკების შესახებ; 2) მოხსენება ელექტრონის სადგურების სამმართველოსი ქალაქის ქუჩების განათების შესახებ და 3) ქალაქის განაპირა ადგილების მდგომარეობის მოწესრიგება.

◆ **ველოდრომში.** 1 ოქტომბერს, საყ. სამხ. სწავლების ველოდრომში—იქნა 1922 წ. ქ. თფილისის გორიელ-სპრინტერის პირველობის საპატიო ლენტი რომელიც სწორედ ხვდა ამ სპორტის საამაყო ახალგაზრდა შემჯიბრებელ ამხ. ლუარსაბ ჯაჯანიშვილს.

◆ **საათის ისრის უკან გადაწევა.** ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ამ მიმდინარე ოქტომბრის თვის ხუთიდან მეექვსე რიცხვზე ღამის 12 საათზე, საათის ისარი გადაიწევა უკან ერთი საათით.

◆ **სპარსეთთან ვაჭრობის შესახებ.** ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით მოსკოვში დაარსდა სააქციონერო საზოგადოება რ. ს. ფ. ს. რ. და მის მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიიდან სპარსეთში და სპარსეთიდან უკან სატრანზიტო გადაზიდვისათვის.

საზოგადოება აგრეთვე აწარმოებს ყოველ გვარ ოპერაციებს. თვის შესყიდვა გაყიდვის ოპერაციებს საზოგადოება აწარმოებს ფედერაციის ფარგლების გარეშე. ფედერაცის ფარგლებში საზოგადოებას უფლება ეძლევა აწარმოოს საქონლის ბითუმად შესყიდვა სპარსეთისა და მის [illegible] ზღვრე აღმოსავლეთ ქვეყნებისათვის. საზოგადოების ძირითადი თანხა არის 40 მილიონი გერმანული მარკა. საზოგადოების წესდებით მთელი ტონაჟის 50 პროც. ახმარებს რესპუბლიკას საქონლის გადაზიდვას.

◆ **მდგომარეობა თბილისის ბაზარზე.** როგორც ამიერ კავკ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობით ფასები ბაზარზე კვლავ აწეულია. ცოტათი დაიკლო ფასმა ამერიკულ ფქვილზე „ამაზონზე,“ მაგრამ უმაღლესი ხარისხის „ნელსონზე“ ფასი აიწია, ვინაიდან „ნელსონი“ ბაზარზე ცოტაა. დაიკლო ნაჭერი და ფხვნილი შაქრის ფასმა, აგრეთვე გაიაფდა ნარმა, გაძვირდა ადგილობრივი ფქვილი ხორბლის, ჭვავის და სიმინდის. საერთოდ ფასები ყველა საქონელზე მტკიცდება: ფქვილი ამერიკული „ნელსონი“—800—810, ამაზონი—510—620, ადგილობრივი—330—350, სიმინდის—200—220, ხორბალი—280—310, ქერი—130—140 სახარინი „სოსიფსო“ კილო 4500. შაქარი რაფინადი ფუთი—5.800, ფხვნილი ფუთი—1.200, ნარმა ს. ს. ს. ნაჭერი—3.000, ჩითი იარდი—40—60, შევიოტი ინგლისური არშ.—800—1000 და მეტი. უბრალო შევიოტი—400—600, სატინა—75—200, მედაპალამი ნაჭერი 2.200 დან საპონი სარეცხი ადგილობრივი ტოლე ფუთი—1.150—1.200, მარმალილოს საპონი ფ.—1.200.

ხელოვნება

— **აღმოსავლური მუსიკალურ-ვოკალური საღამო.** ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება აღმოსავლური მუსიკალურ-ვოკალური საღამო ხაიათნოვას ნაწარმოებებიდან.

— **მხატვარ დავით კაკაბაძის წიგნები ფრანგულად,** მხატვარმა დავით კაკაბაძემ, რომელიც რამდენიმე წელიწადია იმყოფება პარიზში, გამოცა ორი წიგნი ფრანგულად. უმთავრესათ, პირველ წიგნში სათაურით—„ეგრედ წოდებული გაკეთებულ სურათის შესახებ“, მოცემულია ფუზიზმის განხილვა. მეორე წიგნი: „რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ მხატვრობაში“. პირველი წიგნი უკვე მოვიდა თბილისში.

— **ნოე ჩხიკვაძის ნაწერების სრული გამოცემა.** სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი შეუდგა გარდაცვლილ პოეტის ნოე ჩხიკვაძის ნაწერების სრულ გამოცემას. წიგნი გამოვა ნოემბრის პირველ რიცხვებში.

— **ქართული გამომცემლობა საზღვარ გარეთ.** ბერლინში, აკაკი პაპავას მეთაურობით არსებულ ქართული გამომცემლობის წრე ენერგიულათ შეუდგა ქართული გამომცემლობის საქმეს.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 6 ოქტომბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში „კომუნალური მეურნეობა ქ. ტფილისში“. თეზისები დაბეჭდილი იქნება გაზეთებში და დაეგზავნება ყველა რაიონებს.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.** (3—1)

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

იტყობინება, რომ დღეს, 1922 წლის 4 ოქტომბერს, ქალაქის აღმასკომის დარბაზში (ყოფ. სათათბირო დარბაზი) შესდგება მე 4 რაიონის სადელეგატო კრება, აგრეთვე წინადადება ეძლევა უჯრედების ყველა მდივნებს დაესწრონ კრებას. ვინც არ გამოცხადდება, მიცემული იქნება სასტიკ პასუხის გებაში.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი **ამახი.** (1—1)

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტთან მოეწყო პარტიის ისტორიის ბიურო, ქ. ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციების

ისტორიის შესასწავლად

ბიურო სთხოვს პარტიის ყველა ძველ წევრებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამის მუშაობაში. გზავნონ მის განკარგულებაში მყოფი მასალები მოგონების, მეხსიერების, მონოგრაფიების და სხ. სახით.

ბიურო ფიქრობს გამოსცეს მთელი რიგი პერიოდულ კრებულებისა, რომელიც შეეხება ქ. ტფილისის კომუნისტურ ორგანიზაციების ისტორიის სხვა და სხვა მომენტებს.

პარტიის ისტორიის ბიურო. (5—1)

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ამხ. **აგნიევს, გ. კალანდაძეს, მ. ჩოდრიშვილს** და **გ. ჯაფარიძეს** დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ პარტიის გამწმენდ ცენტრალურ კომიტეტში.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი** (1—1)

ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება

თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ბიუროს მოხსენება.
2. ამხ. ყურულაშვილის მოხსენება სრულიად რუსეთი პროფკავშირთა მე 5 ყრილობის შესახებ.
3. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ცეკას მოხსენება.
4. მიმდინარე საქმეები.

სხდომაზე მოწვეულნი არიან ყველა კავშირთა კომფრაქციების მდივნები, რაიონის ორგანიზატორები და პასუხისმგებელი ამხანაგები. თბილისის კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

2—1

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის **საგიტაციო საპროპაგანდო** განყოფილება აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ სახელმწიფო პოლიტექნიკურ არსებულ მუშათა ფაკულტეტზე (რუსულ განყოფილებაზე) მისაღები დამატებითი გამოცდები იმ პირთათვის, რომლენიც არ გამოცხადდნენ პირველ გამოცდაზე, დანიშნულია ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე მუშათა ფაკულტეტის ბინაზე (20 ტექნიკუმი, ბებუთოვის ქ., № 26, ქალთა ყოფილი 3 გიმნაზია), მეცადინეობა დაიწყება ორშაბათს 9 ოქტომბერს.

ის ამხანაგები, რომლებიც ვერ ჩააბარებენ გამოცდებს, მიღებული იქნებიან მოსამზადებელ ჯგუფში.

თბილისის კომიტ. საგიტ. საპროპ. განყ. გამგე **მეხხენი.** 2—1

მიმდინარე წლის თორმეტ ოქტომბრისათვის დანიშნულია

საქართველოს კომუნისტურ პარტიის

საოლქო, სამაზრო და საქალაქო კომიტეტების საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეობის თათბირი ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების პროფკავშირთა საბჭოს, რკინის გზელთა პროფკავშირთა.

2) მოხსენებები ადგილებიდან.

3) ც. კ. საგ. საპროპ. განყოფილების მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.

4) პოლიტ. განათლების მთავარი მართველობის მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.

5) მეთოდები, ფორმები და ძირითადი ამოცანები საგიტ. საპროპაგანდო მუშაობისა.

6) პოლიტიკურ განათლების მუშაობის მეთოდები, ფორმები და მორიგი ამოცანები.

7) ახალგ. კომუნ. კავშირში საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა.

8) საორგანიზაციო საკითხები.

დელეგატები უნდა ჩამოვიდნენ თავის დროზე ც. კ. საგ.-საპრ. განყოფ.

ც. კ. საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება. (5—3)

კოოპერაციის იმ მუშაკთა თათბირი,

რომელნიც გატარდენ რეგისტრაციაში საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტში.

დღის წესრიგი:

1) კოოპერატიული პოლიტიკა სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის თათბირზე.

2) კოოპერატიული პოლიტიკა საქართველოში და პარტიის უახლოესი ამოცანები.

კოოპერაციის ყველა მუშაკთა დასწრება პარტიული დისციპლინის მიხედვით სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.** (3—3)

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ მუშათა ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე მიღება გაგრძელებულია და ამხანაგები, ვისაც სურთ შესვლა, უნდა შეიარონ საქ. კომ. პარტიის ტფ. კომიტ. საგიტ.-საპროპ. განყოფილებაში 5 ოქტომბრამდე ანკეტის შესავსებლად.

ტფილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე **მ. ეხხენი.** (3—2)

ცენტრალურ კომიტეტში

(გაგრძელება*)

(საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა ივლის-აგვისტოს განმავლობაში)

აგიტაცია. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშაობის განვითარებას და გაფართოვებას პროვინციაში. ბევრ მაზრაში მუშაობა ძალიან სუსტად იყო დაყენებული, მუშაკების უქონლობის გამო. დაინიშნა ოთხი გამგე აგიტაცია პროპაგანდის განყოფილების და პოლიტგანათლებისა. მოხერხდა აგრეთვე ადგილობრივი აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებათა დაკავშირება ცენტრთან.

მჭიდრო კავშირია დამყარებული პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებასთან, არმიის პოლიტგანყოფილებასთან, ქალთა განყოფილებასთან და კომ. ახ. კავშირის ც. კომიტეტთან. პოლიტგანყოფილების და აგიტაცია-პროპაგანდის აპარატების გაერთიანების დროიდან მუშაობა გამოცოცხლდა და უფრო ინტენსიური შეიქნა. საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის მთავარი შინაარსს შეადგენდა პირველ სტეხურის და პოლიტიკოდ-

---

*) იხ. „კომუნისტი“ს № 226

მუშათა ცხოვრება

არამიანცის საავადმყოფო

არამიანცის საავადმყოფო ამ ჟამად ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში იმყოფება. აქ საკმაო ბლომა მუშა ხელია. საავადმყოფოს აქვს მრავალი განყოფილება. ყველგან დაბანდებულია სხვა და სხვა დარგის მუშები. შრომის დაცვის საქმე საერთოდ ძალიან ცუდათ არის დაყენებული. აქ შრომის დაცვის ელემენტარული კანონებიც კი არაა დაცული. ზოგიერთ განყოფილებაში შრომის კანონების დარღვევის კურიოზული შემთხვევებიცაა. შევეხები მოკლეთ ყოველი განყოფილების მუშათა მდგომარეობას და მივაქცევთ მასზე ვისიც ჯერ არს ყურადღებას:

სამანქანო განყოფილება.

ამ განყოფილებაში მუშაობს 6 კაცი. მუშაობა სწარმოებს დღე და ღამით 3 წყებათ. ასე რომ ღამით მომუშავე ორი წყებაც 8 საათს მუშაობს და არა 7, როგორც ეს კანონით არის დაწესებული. მუშები ამ ერთი საათის ზედმეტ მუშაობისათვის არაფერს ღებულობენ. მათ არა აქვთ არც კვირა და არც სხვა უქმი დღეები. განსაკუთრებულ გასამრჯელოს არც ამ უქმ დღეებში მუშაობისათვის აძლევენ. მუშებს უხდებათ მეტად ცუდ პირობებში მუშაობა. თუმცა საავადმყოფოა. და ექიმებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ტექნიკურ სანიტარული პირობები ძალიან მცირედ არის დაცული. მაგალითად, მუშები მოკლებულნი არიან სპეც ტანისამოსს, არა აქვთ პირსაბანი, პირსახოცი, საპონი. ჯამაგირია და ისიც ხშირ 2 თვეა არ მიუღიათ. ჯამაგირის მიუღებლობა ძალიან აწუხებს მუშებს. მათ გაჭირვებას ჯამაგირის მიუღებლობით პირდაპირ საზღვარი არა აქვს. მუშები თხოულობენ ჯამაგირის თავის დროზე მიღების საქმე ერთხელ და სამუდამოთ მოწესრიგდეს.

საზეინკლო განყოფილება.

საზეინკლო სახელოსნოში მუშაობს 4 კაცი. მათი მდგომარეობაც ისეთივეა, როგორც სხვა განყოფილების მუშების. აქ თუმცა მიუცილებელია გადადუღებული, წყალი, ვინაიდან მუშაობის ხასიათი ხშირხშირ წყურვილს იწვევს, მაგრამ მუშები გადადუღებულ წყალს მაინც მოკლებულნი არიან. მეორე მხრივ მუშა მუშაობის პროცესში ჭუჭყიანდება და ვინაიდან პირსაბანი და ხელსახოცი არა აქვთ, ისე უხდებათ საუზმის ჭამა და შინ დაბრუნება. ექიმებით სავსეა საავადმყოფო და ნუ თუ არ ესმით რომ ეს მიუღებელია.

სადეზინფექციო კამერა

ამ კამერაში მუშაობს 3 მუშა. მუშაობენ განუწყვეტლივ ყოველ დღე და ღამ. მათთვის არ არსებობს არც კვირა უქმე დღეები. ზედმეტ სამუშაოებისათვის არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობენ. მუშაობა მათი ძალიან მძიმე და სახიფათო პირობებში სწარმოებს. საქმე იმაშია, რომ მათ საქმე აქვთ გადამდებ ავადმყოფებთან. მათ გადააქვთ ავადმყოფის ტანისამოსი სადეზინფექციო ოთახში, სადაც აწყვია ავადმყოფის ტანისამოსი, სავსეა მკბენარებით. ეს მკბენარები ესევა მუშებს და გადააქვთ მათზე ავადმყოფობა. აღსანიშნავია რომ ასეთს უსუფთაობის წყალობით ყოველ მოსამსახურეს დაემართა ტიფი. ერთი მოსამსახურე ქალი გარდაიცვალა კიდეც ტიფით. კურიოზათ ჩაითვლება, რომ ასეთ დარგის მოსამსახურეებს არა აქვთ სპეც ტანისამოსი და ფეხსაცმელი. ასეთ პირობებში მუშაობით არა მარტო მუშები ვარდებიან საფრთხეში, არამედ ისინიც, რომლებთანაც მათ ურთიერთობა აქვთ.

პროზექტურა

ამ განყოფილებაში სჭრიან მკვდარ ადამიანების გვამებს. მუშაობს 4 კაცი. იმათ ძალიან სახიფათო და საფაქიზო მუშაობა აქვთ. მიუხედავათ ამისა, არც მათ მიმართ არის შრომის კანონები და განსაკუთრებით ტექნიკურ სანიტარული პირობები დაცული. თქვენ წარმოიდგინეთ იმ ხალხს, რომლებიც ადამიანის გვამების გაჭრის დროს ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს და გვამის ერთი ერთი ნაწილი ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადააქვთ, არა აქვს განსაკუთრებული ტანისამოსი. ეს პირდაპირ საარაკო კურიოზია. ექიმებს ნუ თუ არ ესმით ეს ან თუ ესმით, რისთვის არ ღებულობენ ღონისძიებას ამ დეფექტის გასასწორებლად. უმთავრესად აქ საჭიროა ხელთათმანები. მუშები მასაც მოკლებულნი არიან. ამგვარად მუშები უდიდეს საფრთხეში არიან. აქვე აქვთ დარაჯებს ოთახი. ამავე ოთახშია სამზარეულო, აქვე ხდება ინსტრუმენტების სტერილიზაცია. ყოველივე ეს კი ერთად იმდენათ შეუთავსებელია, რომ მას ექიმი კი არა, უბრალო ადამიანიც კი მიხვდება.

აფთიაქი

აფთიაქში მუშაობს 7 კაცი. აგრეთ წოდებული დაბალი პერსონალი. სამუშაოთ მოდის დილის 7 საათზე და მუშაობს განუწყვეტლივ მეორე დღის 3 საათამდი, ე. ი. 32 საათს განუწყვეტლივ. აქ არ არის არავითარი შრომის კანონი დაცული

სხვა განყოფილებებში

კიდევ უფრო ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა მუშებს სხვა განყოფილებებში პავილიონებსა, პალატებსა, სამზარეულოსა და სხვაგან. მუშების მდგომარეობა მეტად მძიმე და სავალალოა. არც ერთი შრომის კანონი მათ მიმართ არ არის დაცული და განხორციელებული. საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მოხიარულე კორესპონდენტი

მეტყავეთა შორის

ჩვენი დარგის მუშები ნივთიერად ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ. ამ დარგში უმუშევრობაც არ შეადგენს მცირე პროცენტს. კავშირს არა აქვს სპეციალური თანხა, რომ რაიმე შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მუშებს. ასეთ საქმისათვის მოწოდებულია საურთიერთო დამხმარე კასა. დღემდი მას მოკლებული ვიყავით. 25 სექტემბერს მოხდა ჩვენი დარგის წარმოების ადგილკომებისა და ფაბქარკომების წარმომადგენელთა კონფერენცია და გადაწყდა ასეთი კასის დაარსება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება მალე იქნება სისრულეში მოყვანილი.

მუშა.

ფურნეების მომუშავეები

ფურნეებში მომუშავეები ძალიან ჩამორჩენილი ვართ განვითარებით. ჩვენში კლასიური შეგნება სუსტია. ბევრი ჩვენთაგანი მარჯვენა ხელია ჩვენივე ხაზეინისა. ხშირად შრომის კანონის დარღვევაში ხაზეინს მუშა ეხმარება. ამისათვის მიუცილებელი საჭიროა კავშირი ჩვენი დარგის მუშებში გასწევდეს მეტ კულტურულ განმანათლებელ მუშაობას. დღეს დღეობით კი ასეთი არაფერია მოვითხოვთ მეტ ყურადღებას კავშირისაგან.

მუშა ქ. ხ.

რესტორანში მომუშავეები

ჩვენს მიმართ ძალიან მცირედათ არის შრომის კანონები დაცული. ნამეტურ არ იცავენ სამუშაო დღის კანონს. ჩვენთვის 8 საათიანი სამუშაო დღე არ არსებობს. გვამუშავებენ 10—16 საათს. არც ზედმეტ სამუშაოებისას გვაძლევენ რამეს. სასურველია, შრომის ინსპექტორები ჩვენს დარგს მეტ ყურადღებას მიაქცევდეს და მეტ მხნედ თვალყურს ადევნებდეს რესტორანებს, რომ იქ დაცულ იქნას ნორმალური სამუშაო დღე უფრო სასურველი იქნება ზედმეტ სამუშაოებს მოსპობდენ და ისეთი რესტორანი რომელიც 16 საათს მუშაობს ორ წყება მუშებს აიყვანდეს.

მ.—ა.

ნის სკოლების პროგრამის გამომუშავება, მათი ორგანიზაცია, ბიბლიოთეკების ქსელის გაძლიერება და პროვინციისათვის გაზეთების და ლიტერატურის მიწოდების საკითხის მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კამპანიები—გენუის და ჰააგის კონფერენციები. რუსეთის დელეგაციის წევრმა ამხ. ბუდუ მდივანმა მოიარა მთელი პროვინცია. ამხ. მდივანის მოგზაურობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ამხ. ამხ. მდივანმა და კვირკველიამ ჩაატარეს 21 მიტინგი, რომელსაც დაესწრო მრავალ ათასი მასსა.

ჩატარებულ იქნა „დამშეულთა დახმარების შემოწმების ორკვირეული.“ ამ საკითხის გამო გამომუშავებულ იქნა ინსტრუქციები და ცირკულიარი. კამპანია ჩატარდა დამშეულთა დამხმარე ც. კომიტეტთან ერთად.

გატარდა კამპანია წითელ კურსანტის გაწვევისა უმაღლეს სასწავლებლებში. გაწვევა ჯერ არ დამთავრებულა. მოსულ კურსანტების რიცხვიდან სჩანს, რომ კამპანია საკმაოდ კარგად ტარდება, გატარდა სასურსათო გადასახადის კამპანია აღმოსავლეთ საქართველოში, კამპანია ჩანებულად მიმდინარეობს. დასავლეთ საქართველოში კამპანია ჯერ არ ტარდება, მოსავლის სიგვიანის გამო. ამ კამპანიის გამო გამომუშავებულ იქნა ინსტრუქციები და ცირკულიარები და მოხდა პასუხის მგებელ კომუნისტების მობილიზაცია.

აგრეთვე გატარდა კამპანიები „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ერთიან ფულის ნიშანზე“ და „პერიოდულ პრესის გაუმჯობესებაზე“.

პროპაგანდა. საანგარიშო პერიოდში ნორმალურად მოქმედებდა ექვსი რაიონული პარტსკოლა, სამ სკოლაში მეცადინეობა წარმოებდა ქართულად, ორში რუსულად და ერთში სომხურად. კურსანტების უმრავლესობა მუშებია, 10 პროც. კომახალ კავშ. წევრებია. ყველ ა რაიონულ სკოლებისათვის გაწვეულ იყო 183 კაცი, მათგან მამაკაცი 151, ქალი—32.

ამ ჟამად მოქმედებს 44 პოლიტწრე, აგრეთვე ორი მარქსისტული წრე, უფრო მაღალი ტიპის. არსებობდა ორი პარტსკოლა ბათომსა და სოხუმში. პირველში მეცადინეობა არ მიმდინარეობდა კარგად და გამოშვება ცუდი იყო. მეორეში მუშაობა წარმოებდა სავსებით ნორმალურად და გამოშვებაც დამაკმაყოფილებელია. ორივე სკოლაში მეცადინეობდა 210 კაცი. მათგან კარგად გაათავა სკოლა 85 კაცმა.

საანგარიშო პერიოდში მოხდა ცენტრპარტსკოლის კურსანტების გამოშვება, რიცხვით 210 კაცის.

ცენტროპარტსკოლა კარგად დამთავრებულთაგან მოეწყო საპროპაგანდო სკოლა 30 კაცის შემადგენლობით. მეცადინეობა მიმდინარეობდა 4 თვის განმავლობაში, შედეგიც კარგი აღმოჩნდა.

საპროპაგანდო სკოლა გათავებულთა რიცხვიდან უფრო ნიჭიერნი და მომზადებულნი გაიგზავნენ სვერდლოვის უნივერსიტეტში (6 კაცი).

მიმდინარე წელში განზრახულია, რომ პირველ და მეორე საფეხურის პარტსკოლა გაიარონ არა ნაკლებ 500 კაცმა. პროგრამები და სამოსწავლო სახელმძღვანელოები ხსენებულ სკოლებისათვის უკვე დამუშავებულია, სათანადო ლიტერატურა შერჩეულია. ძალიან საგრძნობია ნაკლებობა ლიტერატურით ქართულ ენაზე. იცემა საბჭოთა პარტსკოლების სპეციალური სიხელმძღვანელოები. საქართველოს და ამიერ-კავკასიის ეკონომიურ-გეოგრაფიიდან და გლეხთა მოძრაობაზე საქართველოში.

სერიოზული ყურადღება მიქცეული ჰქონდა ტეხნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციას პარტიის წევრთა შორის. განზრახულია, ეს მუშაობა გათავდეს 1 იანვრისათვის.

გამომუშავებულ იქნა იაჩეიკების მუშაობის ფორმები და მეთოდები, პარტიის მე-11 ყრილობის დადგენილების და რეზოლიუციის და ადგილობრივი გამოცდილების საფუძველზე. გატარებულია პასუხისმგებელ მუშაკების მიმაგრება იაჩეიკებზე მთელი საქართველოს მასშტაბით. გამომუშავებულ იქნა პროგრამა საიაჩეიკო სკოლის (პოლიტანბანის სკოლის). გამომუშავებულია დებულება და წესდება პარტ-სკოლებისა; ასეთი კლუბი არის ორი. ფრიად სერიოზული ყურადღება მიექცა კომ. ახ. კავშირების კლუბების ქსელის ორგანიზაციას; ასეთები არის 7. გამომუშავებულია პროგრამა რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიისა საქართველოში. უკვე შეუდგნენ საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის მასალების დამუშავებას და გამოცემას. შედგენილია კომისია პარტიის ისტორიის შესასწავლად.

ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილება საანგარიშო პერიოდში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ეროვნულ ურთიერთობათა საბჭოს მუშაობაში. ქვეგანყოფილება ატარებდა საერთო კამპანიებს ნაციონალურ უმცირესობათა შორის. გამოდის პერიოდული გაზეთები მუსლიმანურ ენაზე „ახალი აზრი“, სომხურ ენაზე „კარმირ ასტხ“—საქართველოს ს. კ. პ. ც. კომიტეტის ორგანოები.

პოლიტ განათლების მთავარ სამმართველოს საშუალებით გამოიცა ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე ანბანი ტეხნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის (მუსლიმანურ და სომხურ ენებზე), ქვეგანყოფილება მწვავედ განიცდის ლიტერატურის ნაკლებობას. მიღებულია ზომები ლიტერატურის შესყიდვისათვის აზერბეიჯანში.

მოწვეულ იქნა თათბირი პერიოდულ გამოცემათა საკითხის შესახებ. სექტემბრის ბოლოსთვის განზრახულია თათბირის მოწვევა ნაციონალურ უმცირესობათა შორის აგიტაცია-პროპაგანდის მუშიობის დაყენების საკითხის შესახებ.

ბეჭდვითი საქმის ქვეგანყოფილება ვითარდება, მას ენიჭება განსაზღვრული ღირებულება და მნიშვნელობა ც. კ. აგიტაცია პროპაგანდის ორგანიზაციის სისტემაში მხოლოდ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში. რამდენადაც მუშაობა აგიტაციის და პროპაგანდის სფეროში ეწყობა, ფართოვდება და ყალიბდებოდა განსაზღვრულ ფორმებში, პრესის ქვეგანყოფილების წინაშე წამოიჭრა გადაუდებელი ამოცანები—საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის ყველა ამ ფორმებისათვის სამსახურის გაწევისა. ქვე-განყოფილების მთელი მუშაობა ჯერ-ჯერობით იხატება უმთავრესად, ცენტრალურ და პროვინციალურ პერიოდულ ორგანოთა გამოცემაში, ერთი მხრივ, ფართე პარტიულ მასსისა და მარქსისტულ წრეებისათვის წიგნების და ბროშურების გამოცემაში—მეორე მხრივ. ამას გარდა, ქვეგანყოფილება ღებულობს ზომებს მოსკოვის, პიტერის და რუსეთის სხვა პარტგამოცემათა შესაძენად. მოწყობილია ცენტრალური ექსპედიცია პარტიულ ლიტერატურის მასალებად, აღსარიცხავად და გასანაწილებლად პარტ ორგანიზაციებ შორის; მოწყობილია წიგნის ცენტრალური მაღაზია, განზრახულია მისი ფილიალურ განყოფილებათა გახსნა.

ამ ჟამად ბეჭდვითი საქმის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელობით და კონტროლით გამოდის შემდეგი პერიოდული გამოცემანი:

„კომუნისტი“ ქართულ ენაზე, „პრავდა გრუზია“ რუსულ ენაზე, „ახალი აზრი“ მუსლ. ენაზე, „კარმირ ასტხ“ სომხურ ენაზე, „მიწის მუშა“ ქართ. ენაზ. „წითელი არმიელი“ ქართ. ენაზე „მუშა და გლეხი“ (ქუთაისი) ქართ. ენაზე, აჭარის ცაკის „უწყებები“, „მშრომელ აბხაზეთის ხმა“ რუს. ენაზე „ბრძოლა“ (ბათომი) ქართ. ენაზე.

ცალკე წიგნებიდან, ბროშურებიდან, სახელმძღვანელოებიდან სკოლებისა და წრეებისათვის გამოვიდა ქართულად: ბუხნოვი—„პარტიის ძირითადი მომენტები“ (რ. კ. პ. ისტორიიდან); მახარაძე — „ეკონომიკის ახალი კურსი“; კავალენკო—„პოლიტცოდნა“; ტროცკი—„იმპერიალიზმსა და რევოლიუციას შორის“; ბოგდანოვი—„ეკონომიკის მოკლე კურსი“; **იბეჭდება:** სტეკლოვი—„მუშათა მოძრაობის ისტორია“; სტეპანოვი—„სარწმუნოებრივ წარმოდგენათა განვითარების მიმოხილვა“; ჩიჩერინი—„ახალგაზრდათა ინტერნაციონალის მიმოხილვა“; ლილოვი—„კომუნისტური ოჯახიდან კომუნისტური საზოგადოებისაკენ“; ბლანინისა—„დედაკაცი ინტერნაციონალში“; მარქსი—„დაქირავებული შრომა და კაპიტალი“; მარქსი და ენგელსი—„კომუნისტური მანიფესტი“ რიაზანოვის შენიშვნებით. **ითარგმნება:** ტროცკი—„ოქტომბრის რევოლიუცია“., კუნოვი—„სარწმუნოების და რწმენის წარმოშობა“., ბატურინი—„რუსეთის ს.-დემ. ისტორია“ ოლმინსკის წერილის დართვით: „1904—1914 წლები“ ბურეიჩი—„საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები“; ზინოვიევი—„მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი“; ბუხარინი—„იმპერიალიზმი და მსოფლიო მეურნეობა“; ბუხარინი—„ეკლესია და სკოლა საბჭოთა რესპუბლიკაში“; ბუხარინი—„კლასობრივი ბრძოლა და რევოლიუცია“ (რუსეთში); ნევსკი—„ქრისტიანული და მუშურ გლეხური დღესასწაულები“; პეტროვინი—„მეფის თვითმპყრობელობიდან პროლეტარიატის დიქტატურამდე“; როჟნოვსკი—„რუსეთი“; პოკროვსკი—„რუსეთის ისტორია“ მოკლედ გადმოცემული; პოკროვსკი—„მუშათა მოძრაობის ისტორია აღმოსავლეთის ქვეყნებში“.

ამ წიგნების გარდა განზრახულია გადაითარგმნოს რუსულიდან ქართულ ენაზე 20 სხვა და სხვა წიგნი, აგრეთვე სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები სკოლებისათვის.

(შემდეგი იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ბირჟაზე

თბილისის ბირჟა

თბილისი. 3 ოქტომბერი. თბილისის სავალიუტო საქონლის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 2 ოქტომბრისათვის:

გირ. სტერ.—1.150.000 ოქროს 10 მან.—1.150.000 თათრული ლირა ქაღ.—160.000 დოლარი—260.000.

ბაქოს ბირჟა

ბაქო, 27 სექტემბერი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

	25 სექტ.	26 სექტ.
დოლარი	9,200,000	9,600,000
გირ. სტერლ.	44,200,000	46,000,000
ფრანკი	500,000	640,000
ლირა იტ.	420,000	325,000
ლირა თათ. ქაღ.	6,750,000	7,400,000
მარკა	11,500	14,000
რუსეთის 1922 წლ.		
შემც. 100 ათ.	90	90
„ „ მეტი	90	90
„ ვალდ. 10 მილ.	—	80
შემც. ვალდ. 5,000		
და 10,000	83	83
ქართული	3,300	3,500
ოქ. 10 მან.	45,500,000	47,700,000
ლირა ოქრ.		
თათ.	36,000,000	38.000,000
ნატ. 56 სინჯ.	8,200,000	8,500,000
თუმანი	6,800,000	6,800,000
1 მან ვერც.	2,100,000	2,250,000
„ დახურდ.	995,000	1,000,000

განწყობილება მტკიცეა.

ბათუმის ბირჟა

ბათუმი. 29 სექტემბერი. ბათუმის სავალიუტო საქონლის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი:

28 სექტემბერს. თათრული ქაღ. ლირა 176—178,000 მან. ქართული ბონით 6,800,000 მან. საბჭოთა ნიშნებით დოლარი 152—155. პიასტრი გირ. სტერ.—685—695 პ. თათრული ოქროს ლირა 515—525 პ. ოქროს 10 მან. 640—659 პ. 20 ფრანკი—210—220. 20 ლირა იტ.—130—140. მარკა—კურსი არ არის.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 2 ოქტომბერი. (დეპ.) გირ. სტერ.—7915,05. დოლარი—1812,73. ჰოლანდ. გულდ.—69712,70.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი 2 ოქტომბერი. (დეპ.) პარიზი—57,725. ნიუიორკი- 4,368. ბრიუსელი—61,525. ჟენევა—23,5. ამსტერდამი—11,29. მილანი—103,19 ბერლინი—7125,00. სტოკჰოლმი—16,65. კოპენჰაგენი—21,25. ქრისტიანია—25,75. ვენა—325000,00. პრაგა—141,5. ჰელსინგფორსი—199,00. მადრიდი—28,9. ლისაბონი—2 1 | 8. ვერცხლი—35 5 | 16.

პარიზის ბირჟა

პარიზი 2 ოქტ (დეპ.) ლონდონი—57,925. ნიუ-იორკი — 13,1950. გერმანია—0,80 ბელგია—94,20. ისრუს. 22 წ. (შემ. 100ათ-დე) 93 93 „ „ 100ათას ზევით 93 93 ბერლინი—0,75. ბელგია—94. ისპანია—190,50. ჰოლანდია—510,25. იტალია—56—40. შვეიცარია—146,25. სტომანის ბანკი—703. სტომანიის თამბაქო—364. გავრი—ბამბა: ოქტომბერი — 344,00. ნოემბერი—343,00. დეკემბერი—343,00. აბრეშუმი ლიონის სევენი—245,45. იტალია—245,00. იაპონია—235,00. ჩინეთი—275—265. კანტონი—235—240.

პროვინციაში

ნიაღვარი სენაკის მაზრაში.

მიმდინარე წლის 9—10 და 22—23 სექტემბერს სენაკის მაზრაში ადგილი ქონდა იმისთანა ნიაღვარს, რომლის მსგავსი რამ არ ახსოვს ჩვენს გლეხობას. ნიაღვარმა ნათესს მიაყენა დიდი ზარალი. განსაკუთრებით დაზარალდენ მდ. რიონის ნაპირათ მდებარე თემები, როდორიცაა, მაგ. მარანი, ნაესაკოვო, სუჯუნა, კვათანა, ზემო-ქალადიდი, ქვემო-ქალადიდი და სხვა. ამ თემებში ნაწილი ყანებისა წალეკილია, ნაწილი მთლად წალებულია, დამხრჩალია ბევრი შინაური საქონელი და ფრინველი. სამაზრო აღმასკომის კომისიამ ზარალის გამოსარკვევათ, ვინაიდან დაზიანებულ ადგილებში მთელი კვირა იდგა წყალი, ჯერ-ჯერობით შესძლო გამოერკვია ზარალი მარტო სუჯუნის თემში, სადაც დაზარალებულია ქვემო აღნიშნული სივრცით შემდეგი სოფლები: ა) ზალიკარი—150 ქცევა, 1 და 2 ეწერი—250 ქც., სახოშტარიო—200 ქც., ს. სუჯუნა—300 ქც. და გამოღმა ზანათი—100 ქცევა.

დამხრჩვალი პირუტყვის და ფრინველების რაოდენობა არაა გამორკვეული. დანარჩენ თემებში ზარალის გამორკვევა სწარმოებს. საქ. დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის მიერ გადადებულია დაზარალებულთათვის დასახმარებლათ ასი მილიონი მან., რისთვის დაზარალებულთა სახელით ვუძღვნით მას უღრმესს მადლობას. ეს დახმარება მოხმარდება, გლეხების გადასახლების საქმეს იმ ადგილებიდან, სადაც მათ მუდამ საშიშროება მოელისთ ნიაღვრისაგან, უშიშარ ადგილებში. თუმცა ეს დახმარება ვერ დაფარავს გაჭირვების მეასედ ნაწილს, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავარი კომიტეტი, როდესაც გამოირკვევა ზარალის რაოდენობა სხვა თემებშიაც, არ დააყოვნებს გააორკეცოს თავისი დახმარება. მიუხედავად აგვისტო სექტემბრის ქარებისა და ნიაღვარისა, მიმდინარე წელს მოსავალს უნდა ველოდეთ, თუ არა საშუალოზე მეტს, საშუალოს მაინც, რაც გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ნატურგადასახადის აკრეფას სავსებით შევსძლებთ, თუ არ მივიღებთ ანგარიშში იმ გარემოებას, რომ მაზრისთვის დაწესებულ რაოდენობას ნატურგადასახადისას გამოაკლდება ის რაოდენობა, რომელიც დაწესებულია თემათათვის.

ბ. მაჭულია.

საქართველოს სამხედრო გზა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გზას. მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და განსაკუთრებით კი დუშეთის მაზრისათვის, ამას ვგონებ ყველა გრძნობს, რადგანაც ეს ერთად ერთი კარგი გზა არის, ჩრდილოეთ კავკასიასთან შემაერთებელი; და თუ ამ გზას დროზედ არ მიექცევა სახელმწიფოს მიერ სერიოზული ყურადღება, რათა განადგურებას გადარჩეს, ისე ამ დიდებულ გზის სამუდამოთ დახურვა აუცილებელია, რადგანაც მთელი ამ გზის ხიდები და ბოგირები გაფუჭებულია, ან შეუკეთებლობისაგან ეს გზა უბრალო სოფლის გზას არის დამსგავსებული.

ჩვენ ამ გზის შესახებ ჯერ კიდევ მარტში ვწერამდით, მარა ყურადღება არავინ მიაქცია, მოკლეთ შეიძლება ამ გზის მდგომარეობა ეხლა დასურათდეს შემდეგნაირად: თბილისიდან ქ. დუშეთამდე, მეტი ნაწილი ხიდებისა და ბოგირებისა არის ჩანგრეული, სადაც მთელი საათებით უხდებათ მოგზაურობას, გადასვლა. რაც შეეხება თვით გზის მდგომარეობას, ამაზედ ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ის სახელოვანი გზა კი არ არის, რაც იყო ძველად, არამედ დამსგავსებულია უბრალო გაუკეთებელ სოფ. გზას. ნიაღვრების მიერ დაგროვილ ღორღს არავინ ასუფთავებს და მას მიერ ზოგ ალაგას ჩანგრეულ გზის პირებს სულ არავინ არ აკეთებს. დუშეთიდან ანანურამდე კი გზა მთლად თუ არა, ნახევარზედ მეტი მაინც მოზღვავებულია, და თუ დროზედ არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება და არ შეკეთდა კარგად, ისე გზის სამუდამოთ ამ მიმართულებით დახურვა აუცილებელია. ანანურიდან პირდაპირი გზა მიდის მლეთამდე. ანანურიდან ფასანაურამდე ცოტა კარგ მდგომარეობაშია, თუმცა ხევების მიერ აქაც ბევრი ღორღია გზაზედ ჩამოტანილი, მარა ყველაზედ ცუდათ გზა საშიშ მდგომარეობაში არის ფასანაურიდან მლეთამდე. ამა წლის ივლისის თვეში აქ დიდი წვიმები მოვიდა, რომელმაც მთლად დააზიანა გზა და რამდენიმე ხანს მოძრაობაც შეჩერებული იყო. ჩვენი ადგილობრივ თემების წყალობით, მოძრაობა, აღდგენილი იქნა, თუმცა გზები არ არი შეკეთებული, რადგანაც ეს მოითხოვს დიდ თანხას. ბოლოს მლეთიდან კობამდე არის კავკასიის უღელ ტეხილზედ გადასავალი გზა, სადაც არის ბევრი გვირაბები ზამთარში გზის დასაცავად. ამათგან ზოგიერთი წარსულ ზამთარში ზვავებმა ძლიერ დააზიანეს მარა დღემდე შეუკეთებელი არის. და თუ ეხლავე განსაკუთრებით მლეთიდან კობამდე ეს მეტათ საშიში ადგილი არ იქნა კარგად გაკეთებული და თუ მთელი გვირაბები და გზა არ იქნება დაცული, ისე მთელ ზამთარში დეკემბრიდან მაისამდე გზა დაიხურება, რაც დიდ ზარალს მიაყენებს, როგორც საქართველოს, ისე კერძოთ დუშეთის მაზრას. რადგანაც მაზრას ჩრდილოეთ ნაწილი მთელ ზამთარს ცენტრს მოწყვეტილი იქნება. რაც შეეხება კობიდან ლარსამდე აქაც გაზაფხულის დიდმა წვიმებმა ძლიერ დააზიანეს ეს გზა, და განსაკუთრებით ნიაღვარმა გააფუჭა ყაზბეგის დიდი ხიდი, რომელიც მოითხოვს საჩქაროთ შეკეთებას, თორემ ხიდი აუცილებლად ჩაწვება წყალში, რის ამოღებაც შემდეგ ძლიერ გაძნელდება. ეს არის ნამდვილი დამაღონებელი სინამდვილე და თუ საჩქაროთ ამ გზას კაპიტალური შეკეთება არ მოხდა, გზა დაიხურება სულ მოკლე ხანში. დუშეთის სამაზრო აღმასკომმა ბევრჯელ მიმართა გზათა მმართველობას, მარა მან არავითარი სერიოზული ყურადღება ამ გზას არ მიაქცია გარდა იმისა, რომ გზის უფროსი ინჟენერი ჯანში ჩამოვა ხოლმე დასათვალიერებლად. სამაგიეროთ თუ ამ გზის არავინ უვლის, გზის და მისი ქონების გაფუჭებული და წამლები ბევრია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მთელი იმ ბუტკების და სადგურების განადგურებას, რაც ამ გზაზედ იყო, ამ გზის საკუთრებას შეადგენდა. ქ. დუშეთში მდგარი ერთად ერთი კარგი ტრაქტორი, რომელიც სახ. მეურ. საბჭოს გადაუწყვეტია გადაიტანოს ბორჩალოს მაზრაში, რაც დაუშვებელია. ჩვენ აქეთ ველით ტრაქტორების მომატებას, რათა ასეთი კარგი გზა დაღუპვისაგან გადავარჩინოთ, და არა იმ ერთად ერთი ტრაქტორის მაზრიდან წაღებას.

საჭიროა საშუალების გამონახვა, რათა ეს გზა აღსდგეს. ეს კი მოითხოვს დიდ ხარჯებს. დუშეთის მაზრა, დაინტერესებული არის ამ გზით და ეს მაზრა ყოველთვის დიდ დახმარებას გაუწევს ყველა მათ, ვინც დაეპატრონება ამ გზას და შეუდგება მის შეკეთებას, მარა შეიძლება, არავინ არ აღმოჩნდეს ასეთი და თუ ეს ასე იქნება, მაშინ დუშეთის მაზრას არ შეუძლიან გაჩუმდეს, გულზედ ხელები დაიწყოს და შესცქეროს თავის დაღუპვას რადგანაც ამ გზის დაღუპვით დაიღუპება დუშეთის მაზრაც. უკიდურეს შემთხვევაში ამ გზის პატრონათ უნდა გაუხდეს დუშეთის მაზრაღმასკომი. ეს აზრი უკვე იდგა აღმასკომის წინაშე და თუ მთავრობა გაუწევს ჯეროვან მატერიალურ დახმარებას, მაშინ მაზრას შეუძლიან ამ გზის საჩქაროთ აღდგენა, რადგანაც მთელი დღევანდელ შეკეთება თუ სადმე ხდება, ამ გზაზედ ამას ეწევა დუშეთის მაზრაღმასკომი თავის თემ აღმასკომების საშვალებით, რაც თვით გზათა მართველობისათვის და სახ. მეურნ. საბჭოსათვისაც ცხადია. დუშეთის მაზრის დღევანდელი მოთხოვნილება არის, რათა საჩქაროდ შეაკეთოს მთავრობამ ეს გზა და თუ მთავრობამ ვერ შეაკეთა, მაშინ მიეცეს მაზრას დაუყონებლივ ფართე დახმარება ყოველ მხრივ, რათა თვით მაზრამ მოუაროს თავის ერთად ერთ მრჩენელ გზას, საქართველოს სამხედრო გზათ წოდებულს.

დუშეთის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე გ. ლაფანიშვილი.

გამოჩინებულის თემი.

(სამტრედიის რაიონი)

გამოჩინებულის თემი შესდგება შვიდი სოფლისაგან. თემის ცენტრი არია საჯევახოში, სადაც არსებობს აღმასკომი. სამტრედიის რაიონში ეს თემი თავის სივრცით დიდი თემია. ორ კლასიანი შრომის შკოლები თითქმის ყველა სოფელში არსებობს. არსებობს აგრეთვე დაფნარში პირველდაწყებითი სასწავლებელი. თვით საჯევახოში არსებობს სამკითხველო, ფოსტა ტელეგრაფი, საბჭოთა აფთიაქი და სხვა. მდებარეობა თემისა მაღლობი მთა გორიანია. ხალხი, რადგან მას არ ყოფნის იქაური მიწა, სამუშაოთ დაბლა ვაკეზე ჩამოდის 15 ვერსიდან. წელს ყანებს კარგი პირი უჩანს და მოსავალსაც კარგს მოელიან. შარშანდელ წელს დიდი გაჭირვება გამოუვლია ამ თემის მცხოვრებთ შიმშილობის გამო, მას წყევაკრულივით იხსენიებს ხალხი.

ამ თემში ძლიერ მოდებია მალერია (ციებ-ცხელება) ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ ოჯახში რომელიმე ან ოჯახი სულ ერთიან არ იყოს დაავათმყოფებული, თვალებ-ჩაცვივნული, გაყვითლებული. საბჭოთა ექიმებს მულიათ ამ თემში 200 ავადმყოფი უფასოთ. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში, რადგან თითქმის მთელი 60 პროცენტი დაავადმყოფებულია. ხშირია ამ სენით სიკვდილის შემთხვევებიც.

ამას გარდა ს. გორ-მაღალში გაჩენილია ჭირი საქონლისა, რომელსაც რამოდენიმე სული საქონელი—უმსხვერპლია, რაც ძლიერ საშიშია ამ რთველის დროს. ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდ. გამოიწვია სამტრედიიდან ვეტერინარი ექიმი.

დიდ მატერიალურ კრიზისს განიცდიან აღმასკომის თანამშრომელნი, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია იმ უმნიშვნელო ჯამაგირით, რომელსაც ისინი ღებულობენ, შეიძლებოდეს ადამიანმა თუ გინდ მინიმუმი მოთხოვნილებებისა დაიკმაყოფილოს.

კომპარტიის მუშაობა ამ თემში ამ ბოლო დროს გამოცოცხლებულა. დაუწყიათ მეცადინეობა.

ხან-კანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება.

ვინაიდან უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა ყოველგვარი თეატრალურ სტუდიების დაარსება და პროგრამების გამომუშავება-დარიგება, რომელთა პედაგოგიური პერსონალის შესახებ არავინ იცის რა და არავის მიერ არის დამტკიცებული, სახალხო განათლების კომისარიატი ადგენს: ტფილისში არსებული ყველა თეატრალური საბალეტო, მუსიკალური, კინემატოგრაფიული სტუდიები და სიმღერის სასწავლებლები ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა სახალხო განათლების კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტის სათეატრო განყოფილე წარადგინოს თვისი პროგრამა და მასწავლებელთა სია აღრიცხვისა და დამტკიცებისათვის. დაუმტკიცებელი, თეატრალური, მუსიკალური, კინ ტოგრაფიული, საბალეტო და სხვა სტუდიები და სიმღერის სკოლ ვერ იარსებებენ და თუ ასეთები აღმოჩნდნენ ისინი სწრაფლ დაიკეტებიან და ამ დადგენილების დამრღვევი დამნაშავე სასამართლოს წესით დაისჯება.

სახალხო განათ. კომის. მოადგ
მ. ორახელაშვი
სათეატრო განყოფილების გა
ო. ლეგრანი
საქმეთა მმართველი —ი. რუხა

სარედაქციო კოლეგია.

ქვრივი ვერა პეტრეს ასული კვალიაშვილისა, ძმები გიორგი, ალექსანდრე და ივანე დიმიტრის ძენი კვალიაშვილები მეუღლეებით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და თანამოსამსახურეთ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ქალ. თბილისში, გორის უბნის გადასახადთა განყოფილების გამგე

მიხეილ დიმიტრის ძე
კვალიაშვილის

გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 4 ოქტომბერს, ნაშუადღევს 4 საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან სადგურზე. 5 ოქტომბერს, ქ. გორში დილით გადახდილი იქნება პანაშვიდი (მატარებელი № 22) დაკრძალვა მოხდება ს. მოხისში.

(381—1—1)

აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული

დრამატიული სტუდიის
ლატარია გათამაშდება

ამა წლის

26 ნოემბერს

რასაც საყოველთაო ცნობებისათვის ამით ვაცხადებ

ლატარიის გამთამაშებელი კომისიის თავმჯდომარე: სრულიად საქართვე[illegible] ხელოვანთა კომიტეტის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, კომისიის წევრნი: [illegible] ნათლების კომისარიატის წარმომადგენელი: ო. ლეგრანი, ფინანსთა კომ[illegible] რიატის წარმომადგენელი ტ. ხოშტარია, შინაგან საქმეთა კომისარიატის [illegible] მომადგენელი გ. ტაბიძე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის [illegible] ვ. ცომაია, სახალხო ბანკის ინსპექციის წარმომადგენელი [illegible] ვარი სახელოვნო კომიტეტის წარმომადგენელი შ. აფხაიძე, ქართველ [illegible] ხიობთა კავშირის წარმომადგენელი გ. ჯიქია, საქართველოს ხელოვნ[illegible] მუშაკთა წარმომადგენელი ნ. გოძიაშვილი.

პასუხისმგებელი გამგე ლატარიისა, სტუდიის ხელმძღვანელი: აკაკი ფალა[illegible]
სტუდიის ადმინისტრატიული მმართველობის გამგე: გ. მიქელ[illegible]
(379—1—1) მდივანი: ხ. ჭ[illegible]

საერთო განათლების კურსები

შესასვლელად 1, 2, 3 კლასში, ვამზადებ მოზრდილთ და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთ № 25 და 5.9—12 ს. 3—6 ს. (380—1—1)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების
საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრაგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში.

(0—30)

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მიწადმოქმედების განყოფილება

აცხადებს, რომ ქალაქის № 1 (ყოფ. მანთაშევის) მამულში ვორონცოვის ქ. № 125 დამზადებულია

გასასყიდათ

ყოველგვარი ყვავილები

და აგრეთვე შეიძლება შეკვეთა გვირგვინების, კალათების, მწვანეულობის დეკორაციების და ყვავილების დასამზადებლად.

ფასები 20 პროცენტით ნაკლებია ბაზრის ფასებზე.

შეკვეთათა შესრულება სწარმოებს წესიერად და სასწრაფოდ.

(872—3—2)

დაიკარგა 28 სექტემბერს ღამით პორტფელი, რომელშიაც იყო ნასყიდობის სიგელი და გასაღებები. მნახველს ვთხოვ დამიბრუნოს ნასყიდობის სიგელი და გასაღებები, რისთვისაც მიიღებს შემსაფერ ჯილდოს, შემდეგი მისამართით: კირპიჩნის შესახვევი № 14 შოთა გელოვანი. (495—1—1)

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა გაცემული 1896 წ. № 42 სამსონ კუბლაშვილის სახელზე და გაცემული 1900 წ. № 706 ალექსანდრე კუბლაშვილის სახელზე. (382—1—1)

ტირაჟი 10 000 ნ. დ. ხ. ც.
საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.